ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 15 ოქტომბერი, 2021 №194 (8723) ფასი: 60 თეთრი

პოლიციამ დათო ტბილისკი და კიდევ 2 პირი დააკავა

გვ.5

„გვეყოფა მარცხი, 30-ში ყველანი არჩევნებზე!“



გვ.2

„შევწყვიტოთ ერთმანეთის დამცირება, ზიზღის ფრქვევა და მივუტევოთ ერთმანეთს“

მიხეილ სააკაშვილის მიმართვა

„მე ვთვლი, რომ სააკაშვილი დღეს პოლიტპატიმარია“

გია ხუხაშვილი: „30 ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სააკაშვილი თავიდან მოიშოროს. სააკაშვილი საქართველოს ციხეში ხელისუფლების თავისტკივილია“

გვ.2

გვ.3

„სააკაშვილთან ერთად ქვეყანა მძიმე გზას გადის“

სოსო ცინცაძე: „პატიმრებს ქუჩის აქციებით არავინ ათავისუფლებს, თუმცა საელჩოები, დიპლომატიური სამსახურები საკუთარი თვალით ნახავენ, რამდენი მომხრე ჰყავს მესამე პრეზიდენტს“

გვ.3

„სანამ სააკაშვილი საქართველოში იქნება, ეს პროცესი ვერ დამშვიდდება“

ვახტანგ მეგრელიშვილი: „არ ვიცი, „ოცნება“ და ნაცმოძრაობა თავიანთ წინასაარჩევნო სპეცოპერაციას როგორ დაამთავრებენ“

„მიხეილ სააკაშვილის დაჭერა სამართლიანობის აღდგენას არ გამოხატავს“

გვ.4

თენგიზ დიხამინჯია: „ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“

გვ.4

აშშ-ის თავდაცვის მდივნის ევროპული ტურნე საქართველოსაც მოიცავს

ISSN 1987-9385

3 გიგი უგულავა: „სააკაშვილმა 18 წლის წინ დალია ჩაი, რომელმაც ქვეყნის ისტორია შეცვალა“

5 „რუსთავის ციხეში ბუნტი არ არის“ პენიტენციარული სამსახურის განცხადება

5 13 წლის ბავშვის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულ ბაბუას პროკურატურამ ბრალი წარუდგინა

6 ნორვეგიაში მამაკაცმა მშვილდ-ისრით 5 ადამიანი მოკლა

„გვეყოფა მარცხი, 30-ში ყველანი არჩევნებზე!“

„შევწყვიტოთ ერთმანეთის დამცირება, ზიზღის ფრქვევა და მივუტევოთ ერთმანეთს“

მიხეილ სააკაშვილის მიმართვა

14 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე მიმდინარე აქციაზე მიხეილ სააკაშვილის წერილობითი მიმართვა ციხიდან „მთავარი არხის“ გენერალურმა დირექტორმა და მისმა ადვოკატმა ნიკა გვარამიამ წაიკითხა:

„მოგესალმებით სამარტოო საკნიდან, ტელეეკრანის შემყურე. დარჩენილ სიცოცხლეს გავცვლიდი იმაში, რომ ახლა თქვენთან ერთად ვიყო. ჩვენ მრავალ ათას თანამემამულესთან, საიდანაც ერთი ხელის გაწვდენაზე ვარ, მაგრამ მაინც ვერ გიერთდებით, ვერ გიერთდებით ჯერ.

ჩემი უპირველესი ნატვრა და მთავარი სურვილია ქართველებს ჰქონდეს სახელმწიფო, გამორჩეული თავისუფლებით და კეთილდღეობით, სამართლიანობით და დაცულობით, უძველეს ევროპელებს უნდა გვქონდეს ევროპული ქვეყანა, სხვა ევროპული ქვეყნებში კი დავდიოდეთ ტურისტებად, სასწავლებლად, ბიზნესის საკეთებლად, მაგრამ ყოველთვის უნდა ვბრუნდებოდეთ შინ, როგორც მე დავბრუნდი შინ.

რატომ ვარ დღეს საქართველოში? მე აქ ვარ, რადგან ვერ ვიქნები ბედნიერი თუნდაც ჩემთვის ძალიან ახლობელ უკრაინაში, ვერ ვიქნები სხვაგან, როცა ამდენ სისასტიკეს და უბედურებას ვხედავ ჩემს უსაყვარლეს სამშობლოში.

უემოციოდ ვერ ვუყურებ, მასობრივად როგორ გარბის ჩვენი ქვეყნიდან ხალხი და როგორ ცარიელდება საქართველო ყველაზე ნიჭიერი, მშრომელი და წესიერი ადამიანებისგან. ვერ ვიქნები ჩვენი სამშობლოს განადგურების გვერდიდან მაყურებელი, ამას სიკვდილი მირჩევნია, ამიტომაც ვარ აქ. აქ ვარ და მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, დავრჩე და ამით ჩემი წვლილი შევიტანო რეჟიმის დამარცხებაში, ჩემი წვლილი შევიტანო ქართველი ხალხის ბრძოლაში სიღატაკის, კორუფციის, უსამართლობის, ნგრევის წინააღმდეგ. ქართველ ხალხთან ერთად წინ აღვუდგეთ ივანიშვილის რეჟიმს, რომელიც პუტინის რუსეთში მიათრევს ჩვენს სამშობლოს.

ყველამ ერთად არ უნდა დავუშვათ ეს და საქართველო უნდა დავაბრუნოთ დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე, ვაქციოთ დემოკრატიის, რეფორმების და განვითარების შუქურად. ისტორიას ჩავაბაროთ ის სიბნელე, სიღატაკე, უსამართლობა და ნგრევა, რომელიც ივანიშვილის ოცნებამ მოიტანა.

ჩვენს საზოგადოებას და ქვეყანას სჭირდება დიდი შერიგება და ამისთვის უნდა ვიყოთ მზად. ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია შევწყვიტოთ ერთმანეთის დამცირება და ზიზღის ფრქვევა ერთმანეთის მიმართ და მივუტევოთ ერთმანეთს. ამას ვწერ ციხის საკნიდან, უკანონო პატიმარი, მაგრამ გარეთ პირველ რიგში ამ სულისკვეთებით ვიმოქმედებ. კიდევ ერთი რევანში და შურისძიება მორალურად გაანადგურებს ჩვენს საზოგადოებას და საბოლოოდ დაანგრევს ჩვენ ქვეყანას.

ჩვენ წინ დიდი ცვლილებები გველის, მაგრამ ამისთვის ყველანაირი წყენა უნდა დავივიწყოთ, გვერდზე გადავდოთ ჩვენი ნეგატიური ემოციების ტვირთი, რადგან ამის მოშორების გარეშე ჩვენი ქვეყანა წინ ვერ წავა. ერთმანეთზე გაბოროტებულ საზოგადოებას არასდროს დაუყენებია პროგრესის გზაზე საკუთარი ქვეყანა, არასდროს შეუქმნია რამე ფასეული და ყოველთვის დამარცხებულა საკუთარ ბრაზთან და აგრესიასთან. ცივილიზებული ქვეყანა ვერ იქნება დაფუძნებული შუღლზე.

და თუ ჩვენ გვინდა ცივილიზებული ქვეყანა, მაშინ აუცილებლად გვჭირდება დიდი შერიგება და უარი რევანშზე და შურისძიებაზე. გვეყოფა მარცხი, ძირს ხელჩამოშვებულობა და ნიჰილიზმი. 30-ში ყველანი არჩევნებზე!

ბოლო ნაბიჯი დაგვრჩა გადასადგმელი და ივანიშვილის რეჟიმი, ეს სიცრუის, ბოროტებისა და ჩაგვრის კართაგენი აუცილებლად დაინგრევა. ბნელი შეიცვლება ნათლით, ბოროტს სძლევს კეთილი, ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი, აბა, თქვენ იცით.

თქვენი დიდი სიყვარულით და გამარჯვების ურყევი რწმენით, მიხეილ სააკაშვილი“.

„მე ვთვლი, რომ სააკაშვილი დღეს პოლიტპატიმარია“

გია ხუხაშვილი: „30 ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სააკაშვილი თავიდან მოიშოროს. სააკაშვილი საქართველოს ციხეში ხელისუფლების თავისტკივილია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, თქვენთვისაც ცნობილია, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაპატიმრებულია და მისი გათავისუფლების მოთხოვნით დიდი აქცია გაიმართა. ასევე ეკლესია გამოდის დიდი შერიგების მოთხოვნით. თქვენი შეფასებები როგორია, უნდა იჯდეს თუ არა მიხეილ სააკაშვილი ციხეში?

– საერთოდ, ვინმეს ციხეში ჯდომა რომ შეფასებითი საკითხია, ეს უკვე სახელმწიფოებრივი პრობლემაა. ადამიანის ციხეში ჯდომა სამართლიანი მართლმსაჯულების საკითხია და არა იწილობინილოსი, ვის აქვს განცდა, რომ ვიღაც უნდა იჯდეს ციხეში და ვის – არა. ეს არ არის სამართალი და ეს არ არის სახელმწიფო! პრინციპში, ამ მოცემულობაში გვიწევს ცხოვრება. სამწუხაროდ, დღეს გვაქვს მოცემულობა, როდესაც საქართველოს ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მიშა არ უნდა იჯდეს ციხეში, მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ უნდა იჯდეს და მესამე ნაწილს საერთოდ არ აინტერესებს, იჯდება თუ არა.

– საზოგადოების ამ ორს ნაწილს ერთმანეთთან სერიოზული დაპირისპირება აქვს. ამ პროცესმა კიდევ უფრო მეტად გახლიჩა და დაპირისპირა საზოგადოება ერთმანეთს.

– ეს რის ბრალია, იცით? ეს არის იმის ბრალი, რომ საზოგადოების ასე გახლეჩისა და დაპირისპირების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა გახლავთ ის, რომ მართლმსაჯულების მიმართ არის ნულოვანი ნდობა როგორც ამ ხელისუფლების, ისე იმ ხელისუფლების პიროებებში, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ იგივე მიხეილ სააკაშვილი. ნახეთ, როგორი აბსურდი გვაქვს. თუ მიხეილ სააკაშვილი გასამართლებულია გირგვლიანის მკვლელების შეწყალების საკითხზე, ამ შეწყალების პროცესში მისი თანამზრახველი და ამ დანაშაულის თანამონაწილე იყო მოსამართლე მურუსიძე, რომელმაც ამ შეწყალების საფუძველი შექმნა.

– როგორ შექმნა?

– ამ შეწყალების მუხლებს რომ დაეფარათ ამ ადამიანების გათავისუფლება, ამას სჭირდებოდა მათთვის სასჯელის შემცირება. ეს გადაწყვეტილება გააფორმა მურუსიძემ ზუსტად იმ ამოცანის შესასრულებლად, რათა შემდგომში სააკაშვილს შეძლებოდა მათი შეწყალება. ფაქტობრივად, დღეს გვაქვს მოცემულობა, როდესაც მართლმსაჯულება არის იმ დანაშაულის თანამონაწილე, რომელსაც თვითონ ასამართლებს, რაც თავისთავად აბსურდია. აი, ეს იწვევს პრობლემას, თორემ... ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ძალიან ბევრ ქვეყანაში სამართლდებიან ქვეყნის პირველი პირები, აგერ სარკოზია გასამართლებული, ბევრი სხვა მაგალითის მოყვანაც შეგვიძლია და არავის კითხვა არ უჩნდება და არც იმის განცდა აქვთ, რომ ისინი უსამართლოდ იხდიან სასჯელს. ეს იმიტომ, რომ იქ მართლმსაჯულების სისტემის მიმართ არის ნდობა.

– ანუ პრობლემის სათავე ის არის, რომ ჩვენთან არ არსებობს სამართლიანი სასამართლო?

– კი, ასეა. საზოგადოებას რომ ჰქონდეს განცდა, მიუხედავად პოლიტიკური მოსაზრებებისა, სხვა ქვეყნებშიც განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებებია, მაგრამ იქ არა აქვთ განცდა, რომ მართლმსაჯულება ხელისუფალმა შეიძლება გამოიყენოს პოლიტიკური ინტერესისა და დევნისთვის. შესაბამისად, როდესაც იქაურ მოსამართლეს გამოაქვს ვერდიქტი, ამას ყველა ეთანხმება და ეჭვი არავის უჩნდება, მათ შორის სარკოზის მომხრეებსაც კი სწამთ იქაური მართლმსაჯულების. ჩვენთან, იმის გამო, რომ მართლმსაჯულება პრაქტიკულად არ არსებობს, ნდობა ნულოვანია და სწორედ ეს იწვევს ამ ტიპის პროცესებს, რასაც ახლა ვაკვირდებით. არის სააკაშვილი პოლიტპატიმარი?!

– თქვენი შეხედულება როგორია?

– ჩემი პირადი განცდით, რა თქმა უნდა, სააკაშვილს ბევრი დანაშაული მიუძღვის ამ ქვეყნის წინაშე. მე პირადად ვარ დაზარალებული იმ პოლიტიკის გამო. თავის მოჭრით არავინ მემუქრებოდა, მაგრამ სისტემა ჩემზე ძალადობდა. შესაბამისად, მე მაქვს განცდა, რომ მას აქვს ბევრი დანაშაული, მაგრამ მე არ ვაძლევ ჩემს თავს იმის უფლებას, რომ მართლმსაჯულება ჩემი განცდებით მოქმედებდეს. ნებისმიერი ადამიანი სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმფციით. მართლმსაჯულებაა ვალდებული დაამტკიცოს, რომ მან ჩაიდინა ესა და ეს კონკრეტული დანაშაული. მე რომ მითვალთვალებდნენ, მიყურადებდნენ და მისმენდნენ, შემიძლია ვივარაუდო, რომ ამის უკან იდგა სააკაშვილი, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია და მეტი არაფერი. ამ ყველაფერს მტკიცებულების ძალიან მაღალი ხარისხი სჭირდება. მე ვთვლი, რომ სააკაშვილი დღეს არის პოლიტპატიმარი, იმიტომ კი არა, რომ უდანაშაულოა.

ჩემი აზრით, ის დამნაშავეა, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ პოლიტპატიმარია, რადგან დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებას აქვს მის მიმართ პოლიტიკური ინტერესი და ხელისუფლება, ამასთანავე, აკონტროლებს მართლმსაჯულების სისტემას. აი, ამიტომ ვფიქრობ, რომ მიუხედავად იმისა, სააკაშვილი დამნაშავეა თუ არა, ის მაინც პოლიტპატიმარია.

– რას იტყვით ეკლესიის ინიციატივაზე? ნაწილი დიდი შერიგების ინიციატივით გამოდის.

– დიდი ბოდიში, მაგრამ, მგონი, ძალიან დაგვიანებულია ეს ინიციატივა. ეს ინიციატივა და ამ ტიპის დიდი შერიგება გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო. ჯერ კიდევ 2012 წელს საზოგადოება უკვე გახლეჩილი იყო. იმ დროს მე მქონდა ასეთი ინიციატივა, როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, ჩვენ დაგვეფიქსირებინა სისტემური პოლიტიკური დანაშაული და ეს გაგვეხადა დიდი ამნისტიის საფუძველიც, გვეთქვა, რომ სისტემა იყო დამნაშავე, მაგრამ, ამასთანავე, ამ სისტემის მსახურები ყოფილიყვნენ ამნისტირებულები. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილს ეს დანაშაულებრივი სისტემა თვითონ სჭირდებოდა, მოსწონდა ის. ფაქტობრივად, მან არაფერი შეცვალა, არ დაიწყო განახლება. მურუსიძე იმას რომ ემსახურებოდა, ცუდი ბიჭი იყო და ახლა მე რომ მემსახურება, კარგი ბიჭი გახდა. ეს დანაშაულებრივი სისტემა მთლიანად გადმოიბარა. ეკლესია მაშინ უნდა ყოფილიყო აქტიური. ახლაც არ არის ეკლესიაში ერთგვაროვანი მოსაზრებები. არც იქ არის საერთო აზრი. სამწუხაროდ, ეკლესიასაც თავისი უამრავი პრობლემა აქვს. ყველა მიმართულებით სერიოზული დეგრადაცია გვაქვს, წინ ვერ მივიწევთ, ეს უფსკრული კიდევ უფრო იზრდება, კიდევ უფრო სასტიკი ხდება ქართული სინამდვილე ყველა მიმართულებით.

– ბატონო გია, ნაცმოძრაობის აქციას „თავისუფლება მიშას“ არ შეუერთდნენ პატარა-პატარა ოპოზიციური პარტიები. რატომ? გამიჯვნას ცდილობენ ნაციონალებისგან თუ რა ხდება?

– ახლა კაი დროსია. გამიჯვნა თუ უნდოდათ, აქამდე უნდა გამიჯვნოდნენ. არათანმიმდევრულები არიან, ამავდროულად – არც საინტერესოები. გინდა გაემიჯნონ, გინდა – არა. ვიღაცამ დაწერა და გავიმეორებ, მაგათი ერთი „მარშუტკა“ ხალხი მივიდოდა თუ არა ამ აქციაზე, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მათი შეერთება-არშეერთება სუფთა სიმბოლური საკითხია. არც რაოდენობრივად ნიშნავს ეს რამეს.

– არის სააკაშვილის გათავისუფლების შანსი? ჩიხში ხომ არ შევა „ქართული ოცნება“?

– რას ნიშნავს ხელისუფლების მხრიდან ვიღაცის გათავისუფლება, თუ მას მისჯილი აქვს სასჯელი?! მისი სწრაფი გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ პრეზიდენტს შეწყალების აქტით და ეს არ არის ხელისუფლების გადასაწყვეტი. პრეზიდენტი ინსტიტუციურად დამოუკიდებელია და მაშინ პროტესტი უნდა იყოს მიმართული არა ხელისუფლების, არამედ კონკრეტულად პრეზიდენტის მიმართ. დღეს კი ჩვენ ვაკვირდებით პროტესტს არა სალომე ზურაბიშვილის, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების წინააღმდეგ. სასამართლოთიც რომ მოინდომოს ვიღაცამ მისი გათავისუფლება, ამას დრო და გარკვეული პროცედურების გავლა სჭირდება. ჩვენ თუ სახელმწიფო გვქვია, მაშინ კანონის ფარგლებში უნდა ხდებოდეს ყველაფერი.

– უკრაინისთვის გადაცემის საკითხი არ დადგება დღის წესრიგში?

– მოდით, ასე ვთქვათ, 30 ოქტომბრამდე ხელისუფლება ამ ნაბიჯს არ გადადგამს, არაფერი შეიცვლება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ 30 ოქტომბრამდე სააკაშვილის ან გათავისუფლება, ან უკრაინისთვის გადაცემა, ან რაღაც სხვა ფორმით გაქრობა რომ მოხდეს ციხიდან, „ქართული ოცნება“ სასტიკად წააგებს არჩევნებს. ეს კარგად იციან, შესაბამისად, მეორე ტურებამდე იძახებენ, რომ სააკაშვილი უნდა იჯდეს ციხეში, რათა ამით თავიანთ ამომრჩეველს მოჰფხანონ გული. დარწმუნებული ვარ, 30 ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სააკაშვილი თავიდან მოიშოროს. სააკაშვილი საქართველოს ციხეში პერმანენტული თავისტკივილია. სააკაშვილი „ქართულ ოცნებას“ უყვარდა, როცა იყო ქვეყნის გარეთ, იმიტომ, რომ სააკაშვილით აშინებდა ამომრჩეველს, მგელი მოდისო. აქ კი დიდი თავისტკივილია. ახლა მისი დაპატიმრება აწყობდათ არჩევნების მოსაგებად, ხოლო არჩევნების შემდგომი ამოცანა მისი მოშორება იქნება. ამით კიდევ ერთხელ გააცუცურაკებენ საკუთარ ამომრჩეველს და არა ოპონენტებს. ეს ყველაფერი დიდი ბლეფის ნაწილია. მოსახლეობაც მზად არის, ასჯერ მოიტყუოს თავი.

– წინ მეორე ტურია. რას ელოდებით, ვის სასარგებლოდ დასრულდება?

– მე ვფიქრობ, რომ ეს აქციები მხოლოდ აზიანებს და შანსს უკარგავს ოპოზიციას, იმავე ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს. ის ადამიანები, რომლებიც ითხოვენ მიშა სააკაშვილის გათავისუფლებას და რომელთა მობილიზებაც ხდება ამ აქციებზე, ისედაც მიდიან არჩევნებზე და ისედაც აძლევენ ხმას ნაცმოძრაობას. ახლა მელიას საფიქრალი უნდა იყოს, როგორ მოიზიდოს გახარიას, დოლიძისა და სხვების ამომრჩეველი. ამ ამომრჩეველს კი სულ სხვა მოსაზრება აქვს მიშას გათავისუფლებასთან დაკავშირებით და, შენ თუ ამას ხდი მთავარ საკითხად, ამით მათ ამომრჩეველს ვერ მოიზიდავ. მათ სულ სხვა რამ აინტერესებთ, რაზეც ოპოზიციური კანდიდატები არ საუბრობენ. შენ რომ გახდები ქალაქის მერი, რით იქნები კალაძეზე უკეთესი, აი, ეს უნდა დაამტკიცო, ეს უნდა აჩვენო ხალხს. „თავისუფლება მიშას“ ლოზუნგით მელია ამ ხალხს ვერ მოიზიდავს. კი ბატონო, მათ ჰყავთ ბევრი ამომრჩეველი, რომლებსაც უნდათ მიშას გათავისუფლება, მაგრამ ეს რაოდენობა არჩევნების მოსაგებად საკმარისი არ არის. ახლა კი, იმის ნაცვლად, რომ სხვა ამომრჩეველიც მოიზიდონ, პირიქით, მათ აფრთხობენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სანამ სააკაშვილი საქართველოში იქნება, ეს პროცესი ვერ დამშვიდდება“

ვახტანგ მეგრელიშვილი: „არ ვიცი, „ოცნება“ და ნაცმოძრაობა თავიანთ წინასაარჩევნო სპეცოპერაციას როგორ დაამთავრებენ“

იავო ნაცვლიშვილი

გუშინ რუსთაველის გამზირზე მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. მესამე პრეზიდენტის მიმართ სოლიდარობის აქციაზე, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ორგანიზებით გაიმართა, რიგი ოპოზიციური პარტიები არ მივიდნენ. ისინი გადაწყვეტილებას იმით ხსნიან, რომ აქციის მიზნები ბუნდოვანია და, ამას გარდა, ის ნაციონალური მოძრაობის პარტიული აქციაა.

ერთ-ერთი პარტია, რომელიც აქციაზე არ მივიდა, „გირჩია“. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ვახტანგ მეგრელიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმაზე, რატომ არ მივიდნენ აქციაზე და როგორ ხედავს პოლიტიკური პროცესის გაგრძელებას.

– არ შეუერთდით მიხელ სააკაშვილის აქციას, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ორგანიზებით გაიმართა. რატომ არ შეუერთდით და როგორ წარმოგიდგენიათ პროცესის გაგრძელება?

– თქვენ კითხვისას აღნიშნეთ, რომ ეს არის ნაციონალური მოძრაობის აქცია, შესაბამისად, არც არავის უთხოვია, რომ გულწრფელად შეევრთებოდით აქციას. მეორეა ის, რომ ჩვენ სხვანაირად ვუყურებთ. თქვენ, ჟურნალისტებმაც კი არ იცით, რა გეგმები აქვთ, რა უნდა მოხდეს, რას ითხოვენ და ა.შ. ბევრი ბუნდოვანებაა პარტიისგან, რომელსაც მრავალი მხარდამჭერი ჰყავს. ეს პროცესი ითხოვს ორგანიზაციას. ასეთი დაძაბული სიტუაციები სადამდე მიიყვანს ქვეყანას, მე, პირადად, წარმოდგენა არ მაქვს.

კითხვის მეორე ნაწილზე რომ გიპასუხოთ, რა გეგმა აქვს ნაციონალურ მოძრაობას, როგორ აპირებს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას და, თუ გაათავისუფლეს, მერე რა ხდება, ეს ხომ არავის უთქვამს, არც ნაციონალურ მოძრაობას და არც სხვებს.

– ანუ სპონტანურად დაიგეგმა, გაანალიზების გარეშე?

– ვფიქრობთ, შეუძლებელია, რომ ეს არ იყოს „ქართულ ოცნებასთან“ რაღაცა კოორდინირების ნაწილი. ამ წლების განმავლობაში ეს ორი პარტია რაღაც თამაშშია, თითქოს ერთმანეთს ებრძვიან. ერთადერთი პოლიტიკური იდეა, რომელიც ქართულ პოლიტიკურ ბაზარზეა, არის ის, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ პრორუსი ოლიგარქი ივანიშვილი უნდა გაუშვას ხელისუფლებიდან. მეორე ნარატივია, მიხეილ სააკაშვილი ცივსისხლაინი დიქტატორი იყო და მისგან ვიცავთ ქვეყანასო. ეს არის მათი პოლიტიკური ცხოვრება და ამ ნარატივში ვართ.

– ეჭვი გაქვთ, რომ ეს ყველაფერი შეთანხმებულია და დღესაც კოორდინირებულად მოქმედებს ეს ორი პარტია?

– მე არ ვამბობ, რომ თითოეული ნაბიჯი შეთანხმებულია, მაგრამ ეს დაპირისპირება რომ მართლა აწყობს „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც, ნამდვილია. დააკვირდით, პრემიერი ამბობს, თუ ჭკვიანად არ მოიქცევა სააკაშვილი, კიდევ დავუმატებთ სასჯელსო.

სააკაშვილის ჩამოსვლა ორივე მხრიდან პოლიტიკურად იყო გამოყენებული. ორივეს უნდოდა გამარჯვება და ორივემ მიიღო ძალიან სასურველი შედეგი. ეს რით დამთავრდება, ანუ

როგორ დაამთავრებენ თავიანთ წინასაარჩევნო სპეცოპერაციას, არ ვიცი.

– თქვენ რამდენიმე თვის წინ სთხოვდით სააკაშვილს, რომ საქართველოში ჩამოსულიყო და აქედან ეწარმოებინა ბრძოლა. ის უკვე ჩამოვიდა და ციხეშია. შეცვალა რეალობა, ანუ ის მოლოდინი, რომელიც გქონდათ მისი ჩამოსვლით, გამართლდა?

– მე როდესაც ვამბობდი, ალბათ, დამეთანხმებით, მე ვამბობდი სხვა კონტექსტში და ვერ წარმომედგინა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე უნდა ჩამოსულიყო, ისიც – არალეგალურად, კონტეინერით, ანუ საუბარი იმაზე იყო, რომ მიხეილ სააკაშვილი ოდესღაც უნდა ჩაერთოს ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ერთ-ერთი რიგითი პოლიტიკოსი, დადიოდეს ეთერებში, იძლეოდეს ინტერვიუებს და ა.შ., ჩვეულებრივი ცოცხალი ადამიანი გახდეს, ისევე, როგორც სხვა ქართველი პოლიტიკოსები ვართ. ამ დროს მისი ჩამოსვლა მოხდა ისეთი ფორმით, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც მე ვითხოვდი, როდესაც ვამბობდი, რომ ის უნდა დაბრუნებულიყო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.

– თუმცა, ისე როგორ დაბრუნდებოდა, როგორც თქვენ ასახავთ, იქიდან გამომდინარე, რომ მის წინააღმდეგ საქმე იყო აღძრული?

– გასაგებია, მაგრამ მიხეილ სააკაშვილს შეეძლო, თავისუფლად ჩაეტარებინა ეს პროცედურა, ჩვეულებრივად ჩამოსულიყო თვითმფრინავით, ყველას სცოდნოდა, რომ ჩამოდის და ეს პროცესი მოქცეულიყო ფორმალურ ჩარჩოებში და არა ისე, როგორც დღეს ვუყურებთ.

დღეს ვუყურებთ პროცესს, როდესაც კაციშვილმა არ იცის, რა გეგმა აქვთ მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას, ანუ ვინ როგორ ათავისუფლებს მიხეილ სააკაშვილს, რა ხდება მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების შემდეგ და ა.შ., ეს გეგმა ხომ არავინ იცის!

– არსობრივად არ იცვლება იმ შემთხვევაში, თუ ის არა კონტეინერით, არამედ თვითმფრინავით ჩამოვიდოდა და აეროპორტში დაიჭერდნენ?

– ადამიანი კონტეინერით ჩამოდის თუ, როგორც პოლიტიკოსი, ფორმალურად ჩამოდის და აქვს წინადადება, როგორ არ იცვლება არაფერი?!

– შეხედეთ, მე ვგულისხმობ იმას, რომ ხომ მაინც დაიჭერდნენ, მაინც ვერ ივლიდა ეთერებში და ვერ იქნებოდა ისეთი პოლიტიკოსი, როგორიც თქვენ წარმოგედგინათ ეს?

– დღეს რომ მიხეილ სააკაშვილი აქ არის, ეს ხომ ყველაფერს დაეტყო! ის ახდენს გავლენას ქართულ პოლიტიკურ პროცესზე. მოგვწონს თუ არა ეს ან ვეთანხმებით თუ არა მისი გათავისუფლების მოთხოვნას, გავლენას ხომ ახდენს, ანუ მნიშვნელოვანი ხომ ყოფილა?! მიხეილ სააკაშვილი აქ არ იყო, ვიღაცები დადიოდნენ და ნაციონალური მოძრაობის სახელით ლაპარაკობდნენ, ანუ მათი წონა სულ სხვა იყო. როგორც კი სააკაშვილი გამოჩნდა, ქართული პოლიტიკური პროცესი ბევრად უფრო გააქტიურდა.

სინამდვილეში, სანამ სააკაშვილი საქართველოში იქნება, ეს პროცესი ვერ დამშვიდდება. შესაძლოა, თავად „ქართულ ოცნებასაც“ აწყობდეს სააკაშვილის დროზე გაშვება ციხიდან და, შესაბამისად, საქართველოდანაც.

გიგი უგულავა: „სააკაშვილმა 18 წლის წინ დალია ჩაი, რომელმაც ქვეყნის ისტორია შეცვალა“

– ვუსურვოთ მიხეილ სააკაშვილს თავისუფლება. დღეს ის ჩვენზე მეტად თავისუფალია! მან ოდესღაც, 18 წლის წინ, დალია ჩაი, რომელმაც შეცვალა ამ ქვეყნის ისტორია. დღეს მას არ აცადეს ხინკლის ჭამა. ის აუცილებლად შეჭამს თავის კუთვნილ ხინკალს და თქვენ დაგრჩებათ კუჭები!

ამის შესახებ ოპოზიციის ნაწილის ფოთის მეროობის საერთო კანდიდატმა გიგი უგულავამ მიხეილ სააკაშვილის თავისუფლების მოთხოვნით მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც უგულავა განმარტავს, მიხეილ სააკაშვილი უკანასკნელი პოლიტიკური პატიმარი უნდა იყოს.

– ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში მიხეილ სააკაშვილი იყოს უკანასკნელი პოლიტპატიმარი. ჩვენ არ ვიბრძვით შურისძიებისთვის, ჩვენ გვინდა მართლა თავისუფალი სასამართლო, სადაც ვერავინ დაგჩაგრავს, შენ სიმართლეს იტყვი და დაამტკიცებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვინდა თავისუფალი არჩევნები, როდეცეს ხელისუფლებას, მაგრამ ამან ღირსების დაკარგვის ზღვარზე გაიარა. ეს არ იყო მოსახიბლი ქმედება. როგორც ჩანს, რაც კი ცოცხი იყო, ყველა გაიყიდა, ვიღაცამ ამით იხეირა, სახელმწიფომ კი იზარალა. ანგაჟირებული ახალგაზრდები, ლანძღვა-გინებით, არ იყო ლამაზი სანახავი. ეს ცივილიზებულ ნორმას სცდება.

რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება, თავისი პროტესტი დააფიქსიროს, მაგრამ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ სააკაშვილს მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც. ცოცხებიანი ხალხი რომ არ დახვედროდა ამ ავტობუსებს, რა, ისე არ ვიცოდით, რომ მიხეილ სააკაშვილს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს?! არაფერი ახალი ამით არ თქმულა.

– რა შედეგს მოიტანს ეს აქცია?

– სააკაშვილის მდგომარეობასთან დაკავშირებით ეს აქცია არაფერს შეცვლის. პატიმრებს ქუჩის აქციებით არავინ ათავისუფლებს, თუმცა საელჩოები, დიპლომატიური სამსახურები საკუთარი თვალით ნახავენ, რამდენი მომხრე ჰყავს მესამე პრეზიდენტს და რას ითხოვს ეს ხალხი. დიპლომატიურ სამსახურებზე ეს მიტინგი აუცილებლად მოახდენს შთაბეჭდილებას. რა თქმა უნდა, დიპლომატიური მისიები, საელჩოები შემდეგ უფრო აქტიურად ჩაერთვებიან პროცესში, ურჩევენ ხელისუფლებას, რომ ყოფილი პრეზიდენტების ციხეში გამოკეტვა და, ღმერთმა ნუ ქნას, სიკვდილამდე მიყვანა არ არის მისაღები და ეს ყველას მხრიდან დაგმობილი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პრაქტიკისთვის უცხო არ არის პრეზიდენტებისთვის პატიმრობის მისჯა, თუმცა ეს მეტწილად შინაპატიმრობა იყო.

– საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტ სარკოზის რამდენიმე თვის წინ შინაპატიმრობა მიესაჯა.

– დიახ, სხვა მაგალითებიც არის. ძალიან დიდ რისკზე მიდის ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით კონსილიუმი შეიკრიბა. ცნობილია, ადამიანს რამდენი დღე შეუძლია შიმშილობა და შემდეგ რა შედეგი შეიძლება დადგეს. ეს ყოველგვარი კონსილიუმის გარეშე მედიცინისთვის ცნობილია, ამიტომ ძალიან სახიფათო გზაა. ამ გზას დღეს სააკაშვილთან ერთად მთელი ქვეყანა გადის. რასაკვირველია, პირველ რიგში, გადის ხელისუფლება. ვერ გეტყვით, რამდენად აცნობიერებენ ან, შეიძლება, ვერც აცნობიერებენ, მაგრამ ნამდვილად ასეა. შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ზვიად გამსახურდიამ თავისი სიკვდილით დღეს შეიძლება მესამე პრეზიდენტი გადაარჩინოს.



არ შეიძლება, ასეთ ბედს იზიარებდნენ ქვეყნის პრეზიდენტები. ხუთი პრეზიდენტიდან ერთი სასიკვდილოდ გაიმეტეს, ერთმა მთელი დარჩენილი ცხოვრება სახლში გამოკეტილმა გაატარა, მესამე ციხეშია, მეოთხეს ყოველგვარი ძალაუფლება გამოაცალეს. ისეთი შეურაცხმყოფელია, პრეზიდენტს პირადი დაცვაც კი არ დაუტოვეს. მოქმედი პრეზიდენტი კი უცხოელ მეგობრებთან ჩივის, რომ მასაც უსმენენ. ეს კატასტროფაა. ითქვა, მერკელსაც კი უსმენენო, მაგრამ, ერთია, როდესაც სხვა უსმენს და, მეორეა, როდესაც საკუთარ პრეზიდენტს უსმენენ.

– შეუძლებელია, მიხეილ სააკაშვილმა დიდხანს იშიმშილოს. თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები?

– სამართლიანი სასამართლოს უფლება ყველას აქვს და ეს არის გარანტირებული უფლება. ყველა დანაშაულს, ვის მიერაც არ უნდა იყოს ის ჩადენილი, დამტკიცება სჭირდება. იმ სასამართლოსი კი, რომელზეც კობახიძემ თქვა, მაშინ თუ ცუდები იყვნენ, ახლა კარგები გახდნენო, არავის სჯერა. სასამართლო, რომელიც ამერიკისა თუ ევროკავშირის მიერ „კლანად“ არის მოხსენიებული, ნდობით ვერ სარგებლობს. ასეთი სასამართლოები კი პრეზიდენტებს ვერ ასამართლებენ. ეს არის საქმე.

„სააკაშვილთან ერთად ქვეყანა მძიმე გზას გადის“

სოსო ცინცაძე: „პატიმრებს ქუჩის აქციებით არავინ ათავისუფლებს, თუმცა საელჩოები, დიპლომატიური სამსახურები საკუთარი თვალით ნახავენ, რამდენი მომხრე ჰყავს მესამე პრეზიდენტს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, თქვენ როგორ შეაფასებთ თავისუფლების მოედანზე გამართულ აქციას, მისი მიზანი რა იყო?

– ეს იყო შთაბეჭდილების აქცია. თუ „ოცნებას“ გული სიხარულით ჰქონდა სავსე, რომ სააკაშვილი დააკავა და ციხეში ჰყავს გამომწყდეული, მერწმუნეთ, ამ აქციამ ამ სიხარულს ეშხი დაუკარგა.

ასევე, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს აქცია ეხმიანება 30 ოქტომბერს, არჩევნების მეორე ტურის ერთგვარი რეპეტიციაც კი შეიძლება იყოს. ეს არ არის დაკარგული ენერგია. მეტიც, ეს ენერგია, ეს მუხტი აუცილებლად გადაიზრდება საარჩევნო ხმებში. ეს ერთგვარი წინასაარჩევნო კამპანიაც არის. მეორე ტურამდე რაღა დარჩა. ეს ენერგია პერმანენტულ რეჟიმში გადავა. თბილისში ჩამოსული ეს ადამიანები ორი კვირა ამ შთაბეჭდილებით იცხოვრებენ.

არ შემიძლია არაფერი ვთქვა იმ ორგანიზებულ აქციაზე, რომელიც გზადაგზა ცოცხებით ხელში ვნახეთ. ეს წვრილმანობაა და მეტი არაფერი. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა, „ოცნების“ ადგილობრივმა ჩინოვნიკებმა თავიანთი ერთგულება დაუმტკიცეს ხელისუფლებას, ანუ ეს ეს ეს.

– ეს ეს ეს. ეს ეს ეს.

– ეს ეს ეს.

– ეს ეს ეს.

– ეს ეს ეს.

– ეს ეს ეს.

„მიხეილ სააკაშვილის დაჭერა სამართლიანობის აღდგენას არ გამოხატავს“

თენგიზ დიხამინჯია: „ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.

– ბატონო თენგიზ, დღეს შექმნილ ვითარებას როგორ აფასებთ?

– უპირველესად, მინდა, ღრმა მწუხარება გამოვთქვა ბათუმში დატრიალებული ტრაგედიის გამო. აქედან სწორი დასკვნა უნდა გავაკეთოთ. უპირველესად, სიცოცხლე, როგორც უზენაესი, ღვთის მიერ ნაბოძები უდიდესი მადლი, უნდა დავაფასოთ და პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემასა და პარტიაზე, კონიუნქტურასა და ადმინისტრაციაზე მაღლა უნდა დავაყენოთ. იმედი მაქვს, დაშვებულ შეცდომებს გამოვასწორებთ, ფერისცვალება იქნება და სიცოცხლის დასაცავად ყველაფერს გავაკეთებთ.

ბოლო დროს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი თემა გამოიკვეთა – არჩევნები, ციხეში მყოფი მესამე პრეზიდენტი და სასამართლოს საკითხი.

– მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებას როგორ შეხვდით?

– მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება პირდაპირ უკავშირდება სასამართლო სისტემას. „ოცნებამ“ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც მიხეილ სააკაშვილის სასამართლო სისტემის მძევალი აღმოჩნდა. სააკაშვილის სასამართლო სისტემა გადმოიბარა თავისი გაყალბების მექანიზმებით, თავისი პოლიტიკური პროკურატურის ზემოქმედებით სასამართლოზე, მისი არსების იგნორირებით, დაკომპლექტების წესით, სასამართლო ნოტარიუსად აქცია და პოლიტიზებული გახადა.

– ოთხჯერ გატარდა სასამართლო სისტემის რეფორმა. შეიძლება, ვიდავოთ პერსონებზე, მაგრამ სააკაშვილის სასამართლო სისტემაში ხომ ბევრი ცვლილება განხორციელდა და ის სასამართლო აღარ არის, რაც სააკაშვილის დროს იყო? გამამართლებელი განაჩენებიც გაიზარდა, რასაც უცხოელებიც აღნიშნავენ.

– კანონით რა გაიწერა, ერთი საკითხია, მეორეა, რას ვხედავთ. ნებისმიერი კანონი შეიძლება მიიღო, მაგრამ მისი იგნორირება მოახდინო. სასამართლოს დღეს კიდევ მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანი განაგებს.

– ანუ სააკაშვილის დროს ვისაც დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, სათანადოდ არ დაისაჯნენ?

– დიახ. პირიქით, ზოგი მათგანი დაწინაურებულია. ან ინდიფერენტული ხარ სასამართლოსა და სამართლის მიმართ, ანდა ამას პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად იყენებ, სხვა ფაქტორი არ არსებობს.

სააკაშვილთან დაკავშირებით ორი მომენტია. ერთი, სამართლიანობის აღდგენის, მეორე, სასამართლოს პრობლემის. სამართლიანობის აღდგენაზე ერთი ნაბიჯით წინ ვერ წაიწიეს, მოსახლეობა ვერ დაარწმუნეს, ამაზე კოაბიტაციაც მეტყველებს და იმ კადრების დაწინაურებაც, რომლებსაც დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. ამდენად, მიხეილ სააკაშვილის დაჭერა სამართლიანობის აღდგენას არ გამოხატავს.

– სააკაშვილის დაჭერა სამართლიანობის აღდგენას რატომ არ გამოხატავს?

– იმიტომ, რომ მის მიმართ წარდგენილი ბრალი იყო არამყარი. იმაზე, სადაც სააკაშვილს გაცილებით მძიმე პოზიცია ჰქონდა, განსაკუთრებით, კონსტიტუციური, სამართლებრივი კუთხით, როგორიც არის ზემო აფხაზეთის საკითხი, კოდორის თემა, სადაც უმნიშვნელოვანესი დარღვევები მოხდა, ლაპარაკი არ არის.

ასევე არ შეხებიან სამაჩაბლო-ცხინვალის რეგიონის თემას, სადაც პარალელური არჩევნები ჩატარდა. მან პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში ორი „სამხრეთ ოსეთი“ შემოიტანა, რომლის დროსაც ერთ მხარეს კანდიდატი იყო სანაკოევი, მეორე მხარეს – სეპარატისტებისა და რუსების კანდიდატი.

ასევეა 127 სოფლის დაკარგვა და ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ დაკანონება. ეს არის ძალიან მძიმე პოლიტიკური ბრალდებები და არა სისხლის სამართლის დანაშაული. იმისთვის, ვინც საქართველოს სუვერენიტეტს უფრთხილდება, ეს საქართველოს სახელმწიფოს ფუძემდებლური საკითხია. ამაზე არანაირი სააკაშვილის მიმართ ბრალეულობები არ არსებობს.

– ანუ ფიქრობთ, რომ ტერიტორიული მთლიანობის რღვევაზე, ცხინვალის რეგიონის 127 სოფლისა და კოდორის ხეობის დაკარგვაზე სააკაშვილს ბრალი უნდა წაეყენოს?

– ამ საკითხებზე მთელი რიგი კითხვის ნიშნები არსებობს. ამაზე მსჯელობა არ მიმდინარეობს.

– მაშინ, რატომ არის პოლიტიკური მსჯელობისა და არა სისხლის სამართლის განსჯის საგანი?

– როდესაც ეს საქმე გაირჩევა, დანაშაული თუ დიდია და ფაქტები დაკონკრეტდება, ან ადმინისტრაციულში დარჩება, ან სისხლის სამართლის დანაშაულად შეფასდება, განსჯის საგანი გახდება, რაც უნდა განსაჯოს მიუკერძოებელმა სასამართლომ.

2010 წელს საქართველო შეუერთდა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციას. საქმე, რომელზეც ადამიანს ბრალეულობები აქვს წაყენებული, რაც უფრო მაღალი ინსტანციაშია ეს ადამიანი, ეს საკითხი ქვეყნის წინაშე მით უფრო მძაფრად დგას.

აღნიშნული კონვენციით, თუ ადამიანი ბრალდებულია და მას ბრალდებები მისგან დამოუკიდებლად აქვს წარდგენილი, საქმე ითხოვს ამ ადამიანის ისევ ჩართულობასა და ამ თვალსაზრისით ახალი პროცესის დაწყებას. ეს ნორმა ჩვენთან 2010 წელს შემოვიდა, ევროპას დიდი ხანია აქვს.

– სააკაშვილის მიმართ ხელმეორედ სასამართლო პროცესების დაწყებას ითხოვთ იმ საქმეებსა და ბრალდებებზე, რომლებზეც განაჩენები კანონიერ ძალაშია შესული?

– რა თქმა უნდა. ეს მიუკერძოებელმა სასამართლომ უნდა გააკეთოს.

– მიუკერძოებელი ხომ არის სტრასბურის სასამართლო? იჩივლოს და, თუკი გამართლდება, კი ბატონო.

– ადამიანს მისგან დამოუკიდებლად ვერ მიუსჯი. თუ მიუსჯი, ეს უნდა იყოს პროცესი, პროცედურა რაც უნდა ხანგრძლივი იყოს, ამის ვალდებულება გაქვს აღნიშნული კონვენციის შესაბამისად, მით უმეტეს, ამ კონვენციას საქართველო 2010 წელს შეუერთდა. კონვენცია იმ პრინციპზეა აგებული, რომ სუვერენულ ქვეყანაში ანგარიშსწორება მთავარი ფაქტორი არ იყოს.

– მერედა, ვის მიმართ არის ანგარიშსწორება?

– თუ სასამართლო თავის დონეზე არ დგას, თუ ადმინისტრაციისა და პოლიტიკური წევრებისაგან იმართება (ხილულია ეს თუ არა), მაშინ ეს კონვენცია ძალაში ვერ შედის და ადგილი აქვს ანგარიშსწორებას. ეს გამოჩნდება.

– ახლა ირიბად სააკაშვილს ხომ არ უჭერთ მხარს?

– მე სამართალს ვუჭერ მხარს. ფსევდოოპოზიცია და ფსევდოსასამართლო ერთ პიროვნებას ჯიბეში აქვს ჩადებული. არასოდეს ასეთ სისტემას მხარს არ დავუჭერ.

– მიხეილ სააკაშვილის დროს ხომ იყო კარგი და თავისუფალი სასამართლო?

– არანაირად. დღევანდელი ხელისუფლება იმათი მძევალია-მეთქი. კონვენციის მიზანია, ჰარმონიაში მოიყვანოს ბრალდება, მიზანი, ადამიანის გამოსწორების შანსები და ამოცანა.

– ამოცანა რა არის?

– ამოცანაა, ადამიანს ციხეში გამოსწორების შანსი მისცე, სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს.

– გჯერათ, რომ სააკაშვილი რამენაირად შეიცვლება და გამოსწორდება?

– ადამიანზე ვერაფერს მოგახსენებთ, რას იზამს და როგორ მოიქცევა. იესო ქრისტესთან ერთად ჯვარზე ორი ავაზაკი გააკრეს. ერთმა იესო ქრისტე დაინახა, მოინანია და მიუახლოვდა ღვთაებას, მეორე თავის ცოდვასა და უბედურებაში დარჩა. ავაზაკი, რომელმაც იესო ჯვარცმის დროს დაინახა და არა კაბინეტსა და კარგ პირობებში, ერთადერთი ადამიანია, რომელსაც იესო ქრისტემ იმქვეყნიურად არსებობა აღუთქვა.

ამ შემთხვევაში მოხრე ვარ, იმოქმედონ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შესაბამისად, რომელსაც ქვეყანა 2010 წელს შეუერთდა,

– 2010 წელს, ერთი მხრივ, სააკაშვილი და ძმანი მისნი ადამიანის უფლებათა ამ კონვენციას შეუერთდნენ, მეორე მხრივ, ხალხს აწამებდნენ.

– როდესაც ასეთი კონფრონტაციული ვითარებაა, შეეძლოთ, სააკაშვილი შინაპატიმრობაში გადაეყვანათ და მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ, მიმოსვლის კონტროლით. მთელ რიგ ქვეყნებში დაცულია ეს რეგულაციები.

– დაზარალებულებს ეკითხებიან, თანახმა არიან თუ არა, სააკაშვილი ციხეს განარიდონ და შინაპატიმრობაში იყოს?

– მათთვისაც უნდა ეკითხათ. ჩვენ ურთიერთშემხვედრი ნაბიჯები უნდა გადავდგათ. რევანშიზმი, ერთმანეთის დასჯა, ანგარიშსწორება მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ვიღაცამ ძალაუფლება შეინარჩუნოს, ვიღაც კიდევ დაბრუნდეს და ქვეყანა რაღაცაში გახლართოს, საქართველოს ძალიან ძვირად დაუჯდება.

– დაზარალებულები სააკაშვილის დასჯას მოითხოვენ. ცოტა ხანს რომ იჯდეს ციხეში, გაიაზროს, რა მოხდა და მერე იყოს ლაპარაკი მის შინაპატიმრობაზე, არ შეიძლება?

– მე გამოვთქვი ჩემი ვარაუდი, როგორ მესახება კონფლიქტის განმუხტვა, განეიტრალება. მინდა, განეიტრალდეს ის უდიდესი საფრთხე სამოქალაქო დაპირისპირებისა, რომლის წინაშეც ჩვენ ვართ.

– სააკაშვილი არ ნანობს და თავის მომხრეებს მოუწოდებს, დამიხსენითო. სხვაგვარად თქვენ როგორ გესახებათ ხალხის მხრიდან სააკაშვილის ციხიდან დახსნა?

– ავთანდილს, ფრიდონსა და ტარიელს აქ მე ვერ ვხედავ. ვერც ნესტან-დარეჯანს ვხედავ ქაჯეთის ციხიდან დასახსნელად. არჩევნების მეორე ტურია ჩასატარებელი. მეორე ტურში რა მოხდება, არავინ იცის. გაყალბების მექანიზმები გოგორიშვილიდან დაიწყო, რომლებიც მაშინ შევარდნაძის ბუდეში დაფრთიანებული ბარტყები იყვნენ, შემდეგ ჩამოყალიბდნენ და ამ მექანიზმებში დაიხვეწნენ. შემდეგ „ოცნებამ“ ეს გადმოიბარა, გაყალბების მექანიზმებს ხვეწს და ცდილობს, ის შედეგები დადოს, რომელიც აუცილებელია ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ეს დამღუპველია.

– საარჩევნო კანონში ხომ სერიოზული ცვლილებები შეიტანეს? თან ვიცი, რომ პრინციპით, ოღონდ ნაციონალები არ მოვიდნენო, ბევრი „ოცნებას“ მაგიტომაც აძლევს ხმას.

– ვიცი, რომ ასეა.

– ამიტომ იმის თქმა, ვაიმე, არჩევნები როგორ ყალბდებაო, არასწორი არ არის? თან ისეთი სიტუაციაა შექმნილი, თვით იესო ქრისტე რომ ჩამოიყვანო ზეციდან და ჩაატაროს არჩევნები, მაინც იტყვიან, გაყალბდაო.

– რა თქმა უნდა. მაგას გეუბნებით. ეს არის ჩვენი საერთო ეროვნული სიმახინჯე. ორი ძალა, ნაცმოძრაობა და „ოცნება“, არ განეიტრალდა, მესამე ძალა ვერ დაიბადება, ეკლესიამ თუ არ თქვა, ხმის მოპარვა და მანიპულაცია ქურდობაა და ასეთ არჩევნებს ლეგიტიმაციას არ მივცემო. ვაფრთხილებ, გაყალბების შემთხვევაში არ განმეორდეს მოლდოვაში მომხდარი პლახატნიაკის ვარიანტი.

მესამე ძალა იმ შემთხვევაში დაიბადება, თუ ნეიტრალური სამოქალაქო საზოგადოების მსგავსი ჩამოყალიბდა, რომელიც კრიზისიდან გამოყვანის კონკრეტულ პროგრამებს დადებს საფინანსო, ეკონომიკური მიმართულებით, სადაც აქცენტები გაკეთდება როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე ინვესტიციაზე. ეს სასამართლოს გარეშე ვერ მოხდება.

ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები ყველა ვარიანტში გარდაუვალი იქნება, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ 4-5-წლიანი საარჩევნო ციკლის, რომელიც ვადამდელი იქნება. ეს ნიშნავს, რომ შემდეგ მოდის ის, ვისაც თქვენ ხედავთ, ე.წ. კოალიცია. მე ამათი იმედი არ მაქვს. ესენი ქვეყანას კრიზისიდან ვერ გამოიყვანენ. ამიტომ ვადამდელი არჩევნები უნდა იყოს ორწლიანი.

ორწლიანი ნიშნავს იმას, რომ შენ ატარებ გარდამავალ არჩევნებს და ამ პერიოდში ქვეყანას ამწიფებ დიდი რეფორმებისა და სამოქალაქო შეთანხმებისთვის, რომელსაც ორწლიანი ვადის გასვლის შემდეგ დიდი ნდობის მანდატი ექნება, მართლა რეფორმებს დაიწყებს და ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს მოსახლეობის წინაშე, არ იქნება სუსის მიერ ჩატარებული არჩევნებით მიღებული გადაწყვეტილებები.

თუ ამ თემაზე ვერ შევთანხმდით, ძალიან მოკლე ხანში გველოდება რუსეთან დაკაბალებული ურთიერთობები. სამი პლუს სამი ფორმატი იქმნება. ერთი მხრივ, იქნებიან ირანი-რუსეთი-თურქეთი, მეორე მხრივ, უნდათ იყვნენ აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. აზერბაიჯანი და სომხეთი, მგონი, თანახმა არიან. საქართველოს შეყვანაც უნდათ, რასაც საქართველო არ უნდა დასთანხმდეს.

თუ საქართველო ამას დასთანხმდება, ძალიან ცოტა ხანში აღნიშნული ფორმატი ტრანსფორმირდება და დაჩქარებული დესუვერენიზაციის პროცესი დაიწყება, ანუ იქნება გეორგიევსკის ტრაქტატი გაცილებით ცუდი ვარიანტით, თუ არ გადავდგით ზეპარტიული ნაბიჯები, რომლებიც აუცილებელია სუვერენული ქვეყნის არსებობისთვის.

თუ მომავალი გვინდა, უნდა ჩატარდეს გარდამავალი არჩევნები, რომელიც იმოქმედებს ორწლიანი პერიოდით, რა დროსაც შეიქმნება ახალი კონსტიტუცია, იმუშავებენ მთელ რიგ საკითხებზე და ეს ორწლიანი პერიოდი მოამწიფებს ვადამდელ 4-5-წლიან არჩევნებს. გარდამავალი არჩევნების შემთხვევაში ხელისუფლებაში ვერავინ მოვა.

– აბა, ქვეყანას ვინ მართავს?

– გარდამავალ არჩევნებში ვერავინ გამარჯვებული ვერ მოდის, მოდის ახალი თამაშის წესებით იურიდიული და სამართლებრივი ცხოვრების დასამკვიდრებლად. მეტიც, თუ ნდობა არ იქნება, ძალოვანი მინისტრები „ოცნებამ“ უნდა დააკომპლექტოს.

აშშ-ის თავდაცვის მდივნის ევროპული ტურნე საქართველოსაც მოიცავს

კიევში აშშ-უკრაინას შორის გაფორმებული თავდაცვის სფეროს დოკუმენტების დამუშავება მოხდება

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის თავდაცვის მდივნის, ლოიდ ოსტინის საქართველოში ვიზიტის ყველა დეტალი არ ხმიანდება. ითქვა ის, რომ თბილისში მხარეები განიხილავენ რეგიონის უსაფრთხოების საკითხებს.

პენტაგონის ხელმძღვანელი თბილისს მომავალ კვირაში დაგეგმილი ევროპული ტურნეს ფარგლებში ეწვევა. იგი, საქართველოს გარდა, ასევე ეწვევა უკრაინასა და ნატოს წევრ რუმინეთს. ტურნე დასრულდება ბრიუსელში ჩასვლით. იქ 21-22 ოქტომბერს დაგეგმილია ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების, ასევე ნატოს მოკავშირეების შეხვედრა ნატოს გენმდივნის, იენს სტოლტენბერგის ხელმძღვანელობით.

რამდენიმე დღის წინ ლოიდ ოსტინი თავის თურქ კოლეგასაც შეხვდა. მათ სამხედრო თანამშრომლობის გაფართოებაზე იმსჯელეს. პენტაგონის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავდაცვის სფეროში თურქეთთან თანამშრომლობას, რისი დემონსტრირებაც ავღანეთში განვითარებული მოვლენებისას მოხდა.

ამ შემოდგომაზე ლოიდ ოსტინის უკრაინაში ჩასვლა სექტემბერში ანონსდებოდა. როგორც ცნობილია, სექტემბრის დასაწყისში ვაშინგტონში იმყოფებოდა დიდი დელეგაცია პრეზიდენტ ზელენსკის მეთაურობით. გაფორმდა შეთანხმება აშშ-სა და უკრაინას შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. ხელი მოეწერა რამდენიმე დოკუმენტს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე. აქედან ორი გულისხმობს უკრაინისათვის სამხედრო დახმარების გაზრდას. მაშინ ითქვა, რომ ჩარჩო-ხელშეკრულებების დეტალურად დამუშავება ლოიდ ოსტინის უკრაინაში ვიზიტის დროს მოხდებოდა.

აშშ-სთან სტატეგიული პარტნიორობის პარალელურად, უკრაინა ისევ აქტიურობს ნატოში შესვლის საკითხზე. უკრაინის ვიცეპრემიერი ოლგა სტეფანიშინა აცხადებს, რომ 2008 და 2022 წლის ნატოს სამიტებზე ალიანსის ქვეყნებმა დაამტკიცეს, რომ უკრაინა გახდება ნატოს წევრი. კიევში კონკრეტულ ნაბიჯებს ელიან. უკრაინა მზადაა, გამოიჩინოს ძალისხმევა, რომ შეესაბამებოდეს ნატოს ყველა სტანდარტს.

უკრაინაში ევროკავშირის დამოუკიდებელი სამხედრო მისიის შექმნის წინადადებით კიევმა ევროკავშირს მიმართა. ეს უჩვეულო ინიციატივა ევროკავშირში განიხილება. ევროკავშირს უმთავრესად სამოქალაქო მისიები ჰყავს სხვადასხვა ქვეყანაში. უკრაინაში მუშაობს ევროკავშირის ორი სამოქალაქო მისია. სამხედრო მისია ევროკავშირს მხოლოდ აფრიკაში ჰყავს მივლინებული. კიევის სურვილია, ევროპელმა სპეციალისტებმა დახმარება გაუწიონ უკრაინის შეიარაღებული ძალების ოფიცრებს და მოამზადონ ისინი.

ევროკავშირის ქვეყნების ნაწილი არ ემხრობა უკრაინაში დამოუკიდებელი ახალი მისიის შექმნას. ისინი მიიჩნევენ, რომ მიზანშეწონილია არსებული მისიების გაფართოება.

ნებისმიერ შემთხვევაში, უკრაინა აპირებს საკუთარი ჯარის რეფორმირებასა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავებას.

ნატოს წევრ რუმინეთში პენტაგონს მსოფლიოში ყველაზე ტექნოლოგიური თავდაცვის სისტემა აქვს განლაგებული. მისი ამოცანაა სარაკეტო საფრთხეების ნეიტრალიზება.

რუსეთი ანტიევროპული განწყობების დათესვას რუმინეთშიც ცდილობს. რუსი სენატორი ალექსი პუშკოვი იმასაც ირწმუნება, რომ რუმინელები, უნგრელების მსგავსად, ევროკავშირის მოწინააღმდეგეები არიან. მისი სიტყვებით, გამოკითხული რუმინელების ორი მესამედი ყველაზე მნიშვნელოვნად თვლის საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას მაშინაც კი, თუ ის შეეწინააღმდეგება ევროკავშირის წესებსა და ინტერესებს.

რაზე იმსჯელებენ თბილისში პენტაგონის ხელმძღვანელთან, მოგვიანებით გახმაურდება. თავისთავად, მისი ტურნეს შემადგენლობაში საქართველოს ჩართვა იმის მანიშნებელია, რომ აშშ-ის ინტერესი საქართველოსადმი იზრდება.

ნინო ლომჯარია: „მნიშვნელოვანი იქნება პატიმრის პირადი ნდობა ექიმების საქმიანობის მიმართ“

საქართველოს სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას განცხადებით, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის მონიტორინგს ომბუდსმენის აპარატი რეგულარულად განახორციელებს.

როგორც ლომჯარიამ ბრიფინგზე განაცხადა, ამ დრომდე პატიმრის უფლებრივი მდგომარეობა მხოლოდ ერთხელ, პენიტენციარული სამსახურისა და პრემიერ-მინისტრის მიერ სააკაშვილის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით დაირღვა.

– სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა უკვე არაერთხელ მოინახულეს მიხეილ სააკაშვილი და მომავალშიც ვაპირებთ. ზუსტ დროს წინასწარ არ ვასახელებთ, თუმცა, იქნება რეგულარული ვიზიტები. მისი, როგორც პატიმრის უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, ერთადერთი მნიშვნელოვანი დარღვევა, რაც ჩვენ დავაფიქსირეთ, იყო მისი პერსონალური მონაცემების უნებართვოდ გასაჯაროება. საქმე ეხება ჯანმრთელობის დეტალურ ინფორმაციას, რაც პენიტენციარულმა სამსახურმა გასაჯაროვა და პრემიერ-მინისტრმაც ისაუბრა. ეს იყო მისი, როგორც პატიმრის უფლების დარღვევა. სხვა რაიმე პრობლემები და დარღვევები ადგილზე არ დაგვიფიქსირებია, – განაცხადა ლომჯარიამ.

ამასთან, ლომჯარიამ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ ყველაზე პრობლემური ამ ეტაპზე მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაა.

– ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ ობიექტური და დროული ინფორმაცია მიეწოდებოდეს საზოგადოებას მისი მდგომარეობის შესახებ, თუმცა, ეს უნდა მოხდეს ისე რომ არ იყოს უხეშად დარღვეული მისი პერსონალური მონაცემები. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მივესალმები, რომ ჯანდაცვის სამინისტროში უკვე შეიქმნა მულტიფუნქციური ჯგუფი. მიხეილ სააკაშვილის პირადი ექიმიც იყო ჩართული ამ ჯგუფის შექმნაში და ახლა ველოდებით თავად პატიმრის თანხმობას, რომ ამ ჯგუფმა იმუშაოს. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პატიმრის პირადი ნდობა ექიმების საქმიანობის მიმართ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუკი იქნება თანხმობა, ექიმების მულტიფუნქციური ჯგუფი რეგულარულად განახორციელებს ჯანმრთელობის მონიტორინგს და საზოგადოებას მიაწვდიან მისი ჯანმრთელობის დინამიკის თაობაზე ობიექტურ ინფორმაციას, – განაცხადა ლომჯარიამ.

იუსტიციის სამინისტრომ ჯანდაცვის მინისტრ ეკატერინე ტიკარაძეს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლისა და დეტალური ანალიზის მიზნით ექიმების მულტიფუნქციური ჯგუფის გამოყოფის მოთხოვნით გუშინ მიმართა. მედიკოსების ჯგუფის მიზანი იქნება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის პერიოდული დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა.

სამინისტრომ ასევე მიმართა თანამშრომლობის თხოვნით სახალხო დამცველსაც.

საკითხთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროში პირველი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას იუსტიციისა და ჯანდაცვის მინისტრები, სახალხო დამცველი და პარლამენტის წევრების ნაწილი ესწრებოდა.



პოლიციამ დათო ტბილისკი და კიდევ 2 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით 3 პირი დააკავა.

უწყების ინფორმაციით, „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან: 1971 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.ქ. (მეტსახელად „დათო ტბილისკი“), 1961 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ლ. და 1978 წელს დაბადებული ი.კ.

„კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ დ.ქ., საკუთარი და „ქურდული სამყაროს“ სხვა წევრების სახელითა და კრიმინალური გავლენის გამოყენებით, „ქურდული გარჩევის“ გზით, დაშინებითა და მუქარით ცდილობდა პირადი, ასევე, „ქურდული სამყაროსთვის“ მატერიალური სარგებლის მიღება. იგი გ.ლ.-ის, და ი.კ.-ის, ასევე 1997 წელს დაბადებული რ.მ.-ის დახმარებით დაუკავშირდა ბათუმში მოღვაწე ბიზნესმენს – 1977 წელს დაბადებულ ვ.მ.-ს და რამდენიმე ათასი აშშ დოლარი მოსთხოვა. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი ბიზნესმენს სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებით, ოჯახის წევრების მიმართ ანგარიშსწორებითა და ქონების განადგურებით დაემუქრა.

სამართალდამცველებმა გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და ვიდეოაუდიო გადაღება განახორციელეს, რის შედეგადაც ბრალდებულების და მათი თანამზრახველის – რ.მ.-ს დანაშაულებრივი ქმედებებია ასახული.

პოლიციამ, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო მობილური ტელეფონები და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა მეშვეობითაც ბრალდებულები ერთმანეთს და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ სხვა პირებს უკავშირდებოდნენ.

რაც შეეხება რ.მ.-ს, მისი დაკავების მიზნით ტარდება შესაბამისი სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები.

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 223-ე პრიმა-3 მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს“, – აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე დასკვნით ეტაპზეა

თბილისის საქალაქო სასამართლოში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე დასკვნით ეტაპზეა. კომპანიის თანადამფუძნებლებსა და ქიბარ ხალვაშს შორის რამდენიმეწლიანი დავის შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, მომდევნო პროცესზე გამოაცხადებს.

13 ოქტომბრის სხდომაზე საპაექრო ეტაპი დაიწყო, ყურადღება გამახვილდა წილების იძულებით დათმობისა და სარჩელის ხანდაზმულობაზე. მოპასუხე მხარე საპაექრო სიტყვას შემდეგ სხდომაზე წარმოთქვამს, თუმცა ქიბარ ხალვაშის ინტერესების დამცველი, პაატა სალია განმარტავს, რომ სარჩელი ხანდაზმულია და აქედან გამომდინარე მოსამართლე გადაწყვეტილებას მათ სასიკეთოდ გამოიტანს.

– ჩვენი სარჩელი ერთი ერთზე იმეორებს ყველაფერს, რაზეც ცოტა ხნის წინ იჩივლა ქიბარ ხალვაშმა და რაზეც ყველა ინსტანციამ, მათ შორის უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ თქვა, რომ ქიბარ ხალვაში მართალია და მას წაართვეს ეს ქონება, – აცხადებს დავით დვალი.

ტელეკომპანიის დამფუძნებლების ადვოკატი კახა კოჟორიძე აცხადებს, რომ მოპასუხე მხარე თავადაც ირიბად აღიარებს დვალისა და აქიმიძის იძულების ფაქტს, რადგან მხოლოდ ხანდაზმულობაზე აკეთებს აქცენტს.

– ჩვენ მოვისმინეთ საპაექრო სიტყვის ნაწილი. 3 საათი კითხულობდა კახა კოჟორიძე თავის სიტყვას და ჯერ ვერ მივედით იმ ნაწილამდე, სადაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტი არგუმენტი გვაქვს. მას ჯერ არ უსაუბრია ხანდაზმულობის, შეცილების, აღიარების საკითხებზე, რაზეც ძირითადად გამახვილებულია ყურადღება ჩვენს შესაგებელში, – ამბობს „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი პაატა სალია.

საქმე ეხება „რუსთავი 2“-ის 60%-იან წილს, რომლის დაბრუნებასაც დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე ითხოვენ.

„რუსთავის ციხეში ბუნტი არ არის“

პენიტენციარული სამსახურის განცხადება

14 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსთავის №17 პენიტენციარულ დაწესებულებაში იყო ბუნტი და პატიმრებს გამოკეტილი ჰყავდათ დაცვა.

– ეს არის სრული სიცრუე და იმ ბინძური დეზინფორმაციული კამპანიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ინსტიტუტებზე შეტევას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, – ამის შესახებ ნათქვამია სპეციალური პენიტენციარული სამსახურის განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ხანძრის გამო, რომლის ლოკალიზების პროცესიც თითქმის დასრულებულია, პენიტენციარულ დაწესებულებას, სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ მიეწოდება ელექტროენერგია.

„ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენის შემდგომ ყველა პატიმარს მიეცემა ოჯახის წევრებთან დაკავშირების შესაძლებლობა. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისაგან და პატივი სცენ ჩვენს საზოგადოებას.

№17 პენიტენციარულ დაწესებულებაში იუსტიციის მინისტრი პირადად პენიტენციარული სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთად ადგილზე აკონტროლებს ვითარებას“, – ნათქვამია განცხადებაში.

13 წლის ბავშვის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულ ბაბუას პროკურატურამ ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ არასრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულების და გარყვნილი ქმედების ფაქტებზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მცირეწლოვან შვილიშვილს ძალადობით და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, სისტემატიურად აუპატიურებდა, ახორციელებდა გარყვნილ და სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 12 ოქტომბერს დააკავეს. პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 141-ე მუხლით (ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედება); 11 პრიმა, 138-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით თოთხმეტის წლის ასაკს მიუღწეველთან); 11 პრიმა, 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“, მეოთხე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ოჯახის წევრის გაუპატიურება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ნდობის გამოყენებით) და 11 პრიმა, 139-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება ჩადენილი ოჯახის წევრის და წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურამ ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით სასამართლოს უკვე მიმართა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

არასრულწლოვანი დაზარალებულის მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა. საქართველოს პროკურატურა ასეთი კატეგორიის საქმეებზე უმკაცრეს სისხლის სამართლის პოლიტიკას ახორციელებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული პირი, ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისთვის კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს,“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ლანჩხუთში პატრულის მანქანა ჭიშკარს დაეცა

ლანჩხუთში, სოფელ სუფსაში, საპატრულო პოლიციის ავტომობილი გზიდან მოცურდა და ერთ-ერთი მოსახლის ჭიშკარს დაეცა.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევის მიზეზი საბურავის დაზიანება გახდა, რის გამოც მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა.

მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

პროკურატურამ ფეისბუქით თანხების თაღლითურად დაუფლებისთვის ერთ პირს ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ „ფეისბუქის“ გვერდებზე უნებართვო შეღწევისა და თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს.

როგორც უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, ბრალდებულმა უნებართვოდ შეაღწია თბილისში თაბორის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირის ფეისბუქ გვერდზე და მისი სახელით დაუკავშირდა მოქალაქეებს, მოტყუებით გამოართვა მათ ბანკის პლასტიკური ბარათის მონაცემები და ინტერნეტ ბანკის „სმს“ პაროლები, რისი საშუალებითაც მოიპოვა წვდომა მათ ინტერნეტბანკებზე, გააკეთა სწრაფი სესხები და დაეუფლა სხვადასხვა თანხას.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიმდინარე გამოძიებით ამ დროისთვის დადგენილია, რომ წარსულში ანალოგიური ქმედებისათვის ნასამართლევმა პირმა უნებართვოდ შეაღწია თბილისში თაბორის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირის ფეისბუქგვერდზე და მისი სახელით დაუკავშირდა მოქალაქეებს, მოტყუებით გამოართვა მათ ბანკის პლასტიკური ბარათის მონაცემები და ინტერნეტ ბანკის „სმს“ პაროლები, რისი საშუალებითაც მოიპოვა წვდომა მათ ინტერნეტ ბანკებზე, გააკეთა სწრაფი სესხები და დაეუფლა სხვადასხვა თანხებს.

ბრალდებული ფეისბუქის გამოყენებით შეცდომაში შეყვანილი მოქალაქეებისგან მითვისებულ თანხას ონლაინკაზინოსა და ტოტალიზატორის ანგარიშზე ირიცხავდა, ხოლო შემდეგ – საბანკო ანგარიშებზე. აღნიშნული ქმედებით ამ დროისთვის დადგენილია, რომ დაზარალებულია 14 პირი და ბრალდებული დაეუფლა 76.708 ლარს. გამოძიების შედეგად, შესაძლოა, გაიზარდოს დაზარალებულ პირთა წრე და მათთვის მიყენებული ზიანის ოდენობა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 13 ოქტომბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (თავისთვის ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემის უნებართვო შეცვლა, რამაც მნიშვნელოვანი და დიდი ოდენობით ფინანსური ზიანი გამოიწვია, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის და ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.), 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 „გ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება, მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა არაერთგზის), 286-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (კომპიუტერული მონაცემის უნებართვო შეცვლა არაერთგზის) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნორვეგიაში მამაკაცმა მშვილდ-ისრით 5 ადამიანი მოკლა

13 ოქტომბერს, საღამოს, ნორვეგიის ქალაქ კონგსბერგში მამაკაცმა მშვილდ-ისრით 5 ადამიანი მოკლა.

სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ მამაკაცი მარტო მოქმედებდა.

თავდამსხმელმა მომხდარის შემდეგ ცეცხლი გახსნა ერთ-ერთ სუპერმარკეტშიც.

მამაკაცმა გარკვეული დროის წინ ისლამი მიიღო.

ეჭვმიტანილი პოლიციისთვის ცნობილი იყო, რადგან მისი რადიკალიზების საფრთხე არსებობდა.

დაკავებული პირი დანიის 37 წლის მოქალაქეა. პოლიციამ მისი აყვანა თავდასხმის დაწყებიდან 6 წუთში ცადა, თუმცა მამაკაცმა სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწია და დაკავების პროცესი რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

ბეირუთში საპროტესტო აქციაზე სროლას 2 ადამიანი ემსხვერპლა

ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში მოძრაობების, „ჰეზბოლასა“ და „ამალის“ მხარდამჭერების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციაზე მომხდარი სროლის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე კი დაშავდა.

აქციის მონაწილეები იმ მოსამართლის შეცვლას ითხოვენ, რომელიც გასულ წელს დედაქალაქის პორტში მომხდარი აფეთქების საქმეს იძიებს.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ და რატომ გაისროლა აქციის დროს.

ცნობისათვის, 2020 წლის აგვისტოში ბეირუთის პორტში გაჩენილ ხანძარს, რომელიც 2.750 ტონა ამონიუმის ნიტრატის აფეთქებამ გამოიწვია, 219 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაშავდა 7.000 ადამიანი და დაინგრა ან დაზიანდა ათასობით შენობა.

მომხდარი ტრაგედიის გამო პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის დაჰკისრებია.

ტაივანში კორპუსში გაჩენილმა ხანძარმა 46 ადამიანი იმსხვერპლა

14 ოქტომბერს, დილით, ტაივანის ქალაქ კაოჰსიუნგიში საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილი ხანძრის შედეგად 46 ადამიანი დაიღუპა.

დაშავებულია 40-ზე მეტი ადამიანი. სამართალდამცავები ხანძრის გამომწვევი მიზეზის დასადგენად გამოძიებას აწარმოებენ.

შენობა დაახლოებით 40 წლის წინაა აშენებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბალის სამშვენისები ძველეგვიპტური არტეფაქტები აღმოჩნდა

ბალის სამკაულები, რომლებიც მის მფლობელებს, უბრალოდ, ეგვიპტური შუბები ეგონათ, ნამდვილი ისტორიული 5000 წლის არტეფაქტები აღმოჩნდა და მათი ფასი 195 ათასი ფუნტი სტერლინგია.

აღნიშნული ნივთები ინგლისის სუფოლკის საგრაფოს ქალაქ კლერის მკვიდრ ოჯახში ინახებოდა. მფლობელები ნივთებს უფრთხილდებოდნენ და მათ ძველი ეგვიპტური ეპოქის ლამაზ შუბებად მიიჩნევდნენ. მათი ვარაუდით, ისინი XVIII ან XIX საუკუნეში იყო დამზადებული და არაფერი იცოდნენ მათი ისტორიული ღირებულების შესახებ.

ბრიტანელები სხვაგან საცხოვრებლად გადასვლას აპირებდნენ და ამიტომ მათი გაყიდვა გადაწყვიტეს.

– ჩვენ ადგილობრივმა ოჯახმა მოგვმართა. ისინი სხვაგან გადადიოდნენ და გადაწყვიტეს, ზოგიერთი ნივთი გაეყიდათ, ვინაიდან ჩათვალეს, რომ ისინი მათი ახალი სახლისთვის შეუფერებელი იქნებოდა, – განაცხადა ქალაქ სადბერიში აუქციონის სახლის წარმომადგენელმა.

როდესაც სპეციალისტები ნივთების შეფასებას შეუდგნენ, აღმოჩნდა, რომ 110 სანტიმეტრის სიგრძის შუბები ნამდვილ ძველეგვიპტურ, და-



ახლოებით 5000 ათასი წლის არტეფაქტებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო, მათ მცირე რესტავრაცია ჩაუტარდათ და კვარცხლბეკზე ცემენტის ხსნარის გამოყენებით იქნა დამაგრებული. კოლექციონერები მზად იყვნენ, მათში სოლიდური თანხა გადაეხადათ.

თავდაპირველად ლოტის ფასმა 200 ფუნტი სტერლინგი შეადგინა, თუმცა სულ რაღაც 15 წუთში მათი ფასი ავარდა და 195 ათასი ფუნტის ნიშნულზე შეჩერდა. ისინი შეიძინა პირმა, რომელიც აუქციონზე ტელეფონით ვაჭრობდა.

უფრო მეტიც, ამჟამად სპეციალისტები მათ 241 ათას ფუნტ სტერლინგად აფასებენ.

ბოროტმოქმედმა ერთისა და იმავე ბანკის 24 საათში ორჯერ გაძარცვა ცადა

აშშ-ში ბოროტმოქმედმა გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ გაეძარცვა ბანკი, რომელიც რამდენიმე საათის წინ გაძარცვა.

33 წლის სამუელ ბრაუნი, კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოდან, ბანკის განყოფილებაში შუადღისას შევიდა და მოლარეს გადასცა ბარათი, რომელშიც ის მუქარით მოითხოვდა მისთვის ფულის გადაცემას. ბანკის თანამშრომელი მას დაემორჩილა და ბრაუნმა ბანკი მსხვილი თანხით დატოვა.

მეორე დილით მამაკაცი დაბრუნდა ბანკის იმავე განყოფილებაში და მისი განმეორებით გაძარცვა სცადა, თუმცა ოცდაოთხ საათში მისი ორჯერ გაძარცვა ვერ შეძლო. ამჯერად პოლიცია დანაშაულის ადგილზე ოპერატიულად მივიდა და ბრაუნი აიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მძარცველის დაპატიმრებამ ძალის გამოყენების გარეშე ჩაიარა. გაირკვა, რომ თურმე ბრაუნზე ძებნა იყო გამოცხადებული, ადრე კი სან-დიეგოში განხორციელებული ძარცვისთვის ჰქონდა სასჯელი მოხდილი. ამჯერად მძარცველი ორინჯის ოლქის ციხეში იმყოფება რამდენიმე ძარცვის საქმეზე ბრალდებით.

ორმა ქალმა ხუთი თვე ციხეში ჩაის ყიდვის გამო გაატარა

ავსტრალიაში ორმა ქალმა საპატიმროში ხუთი თვე მას შემდეგ გაატარა, რაც მათ ჩინეთში ჯანჯაფილის ჩაი შეუკვეთეს.

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ გრინაკრის მკვიდრებმა კონი ჩონგმა და მელანი ლიმ ჩაის პარტია შეიძინეს, რამაც ავსტრალიელ მესაზღვრეებს ეჭვი აღუძრა. მიმდინარე წლის იანვარში პოლიცია ქალების სახლში ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით შევიდა და ჩხრეკა ჩაატარა. შემოწმების შემდეგ ქალები ციხეში მოათავსეს, სადაც მათ თითქმის ნახევარი წელი გაატარეს.

სამართალდამცავები წინასწარი ექსპერტიზის დასკვნას ეყრდნობოდნენ, რომლის თანახმადაც, ჩაიმ, რომელიც ჩონგმა და ლიმ შეიძინეს, მასში აკრძალული ნივთიერებების შემცველობაზე დადებითი შედეგი აჩვენა. ჩაიზე ოფიციალური ექსპერტიზა მხოლოდ აპრილში დაიწყო, ხოლო მისი შედეგები ივლისში გახდა ცნობილი.

გაირკვა, რომ ჩაი არ შეიცავდა ნარკოტიკებს და ქალები გაათავისუფლეს. ამ დროისთვის ჩონგმა და ლიმ სარჩელი შეიტანეს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, ხოლო მათმა ადვოკატმა მომხდარს ყველაზე შთამბეჭდავი უსამართლობა უწოდა.

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

მეტეორიტმა სახლის სახურავი ჩაანგრია და მძინარე ქალის გვერდით, ბალიშზე დაეცა

კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის ქალაქ გოლდენში მეტეორიტმა სახლის სახურავი ჩაანგრია და მძინარე ქალის გვერდით, ბალიშზე დაეცა.

4 ოქტომბრის ღამეს რუთ ჰამილტონს საკუთარ სახლში ეძინა. მოულოდნელად ქალი დარტყმის ხმამ გააღვიძა და მას ნამსხვრევები დაეყარა.

– წამოვხტი და სინათლე ავანთე. ვერ გავიგე, რა ხდებოდა, – განაცხადა ჰამილტონმა. ძილისგან საბოლოოდ გამოფხიზლებულმა ქალმა მის გვერდით ბალიშზე დაგდებული ქვა შენიშნა. ის ვერ მიხვდა, თუ როგორ აღმოჩნდა ქვა მის ლოგინზე და პოლიციაში დარეკა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელმა უახლოეს მშენებლობაზე დარეკა იმის გასაგებად, მათთან რაიმე აფეთქებას ხომ არ ჰქონდა ადგილი. იქ დაარწმუნეს, რომ მათთან მსგავსი არაფერი მომხდარა, თუმცა აღნიშნეს, რომ ცაში მოციმციმე ობიექტი შენიშნეს, რომელიც რაღაც დროის განმავლობაში დაფრინავდა, შემდეგ კი რამდენიმე ნაწილად აფეთქდა. აღმოჩნდა, რომ ჰამილტონის სახლის სახურავი მეტეორიტმა ჩაანგრია.

ქალმა აღიარა, რომ მომხდარმა ძალიან შეაშინა. თავიდან ეგონა, რომ მის სახლში ვიღაც შეიჭრა, ხოლო როდესაც გაიგო, რომ ეს ციდან ჩამოვარდნილი მეტეორიტი იყო, შვებით ამოისუნთქა.

ამჟამად სადაზღვევო კომპანია არკვევს, ეკუთვნის თუ არა ქალს კომპენსაცია სახურავის დაზიანებისა და კოსმოსური ობიექტის მიერ მიყენებული ზარალის გამო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბასილაშვილი მასტერსის მეოთხედფინალში გავიდა



პირველად კარიერის განმავლობაში 29 წლის ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი მასტერსის მეოთხედფინალში გავიდა. ჩვენებურმა ინდიანა უელსის პრესტიჟული ტურნირის მერვედფინალში რუსი კარენ ხაჩანოვი 6:4; 7:6 დაამარცხა.

მატჩი თითქმის 2 საათს გაგრძელდა. პირველ სეტში ბასილაშვილი თავიდანვე ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ მეტოქეს გათანაბრების საშუალება მისცა, თუმცა მეშვიდე გეიმში კვლავ აართვა მეტოქეს ჩაწოდება და სეტიც მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე.

მე-2 სეტში ნიკას წყნარად გამარჯვების შანსი ჰქონდა: 5:4-ზე მატჩზე აწვდიდა, მაგრამ ხაჩანოვმა ბრეიკი გაახერხა და მატჩი ტაი ბრეიკზე გადაიყვანა. ბასილაშვილი 6:2 დაწინაურდა, 5 მატჩპოინტი ჰქონდა და მხოლოდ ამის შემდეგ იმარჯვა.

მეოთხედფინალში ბასილაშვილის მეტოქე ბერძენი სტეფანოს ციციპასი იქნება, რომელმაც ავსტრალიელ ალექს დე მინორს 6:7; 7:6; 6:2 მოუგო.

ბაიერნმა ლევანდოვსკის შემცვლელად ჰალანდი დაიგულა

როდის იყო, რომ მიუნხენის ბაიერნს გერმანიაში სატრანსფერო ბაზარი ისე გაუცდენია, მისთვის სასარგებლო ფეხბურთელი არ გადაებირებინა.

ბავარიელები სვლებს მაშინ აკეთებენ, როდესაც ეს სჭირდებათ. ასე ხდება ახლაც, როდესაც ბაიერნი ერლინგ ჰალანდისთვის ბრძოლაში ჩაერთო. „რეკორდმაისტერი“ ამ მომენტისთვის ნორვეგიელის მიმართ, რეალისა და ბარსელონის მსგავსად, პირდაპირ ინტერესს არ გამოხატავს, მაგრამ, დიდი შანსია, რომ მალე ასეც მოხდეს.

გერმანული მედიის ცნობით, თუ ზაფხულში რობერტ ლევანდოვსკი ბაიერნს დატოვებს, კლუბი 21 წლის ნორვეგიელზე გადაერთვება და მის გაფორმებას შეეცდება.

როგორც ცნობილია, 2022 წლის ზაფხულიდან ჰალანდის გამოსასყიდი თანხა 75 მილიონი ევრო იქნება, ასევე 30-40 მილიონი საკომისიო მისი აგენტის მინო რაიოლასთვის, პლუს დამატებითი საკომისიო ფეხბურთელის მამის ალფ-ინგე ჰალანდისთვის.

თავად ჰალანდს, ახალ კლუბში გადასვლის შემთხვევაში, წლიურად ანაზღაურების სახით 30 მილიონი ევროს მიღება სურს. როგორც ხედავთ, ფეხბურთელის გამოსასყიდი თანხა, მისი სტატუსიდან გამომდინარე, საკმაოდ დაბალია, თუმცა ამ ყველაფერს საკომისიოები აბალანსებს და ნებისმიერ შემთხვევაში ჰალანდის შეძენა ყველა კლუბს საკმაოდ ძვირი დაუჯდება.

უეფამ ვალდებულებები ჩამოწერა

2028 წელს გასამართი ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ჯერ უცნობია. უეფამ განაცხადების მიღების ბოლო ვადად 2022 წლის მარტი დაასახელა, რის შემდეგაც ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო კანდიდატებს განიხილავს და 2023 წლის სექტემბერში აირჩევს.

საერთო განაცხადები მიიღება რამდენიმე ქვეყნისგან, მაგრამ, ერთი პირობით – მასპინძლობის მსურველი ქვეყნები გეოგრაფიულად ახლოს უნდა იყვნენ.

ევრო 2028-ის მასპინძლობის მსურველმა ქვეყანამ უნდა წარადგინოს 10 სტადიონი, რომელთაგანაც ერთი მინიმუმ 60.000 ადამიანს უნდა იტევდეს, კიდევ ერთი – 50.000, ხოლო 10 სტადიონიდან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს 30.000-ზე ნაკლები ტევადობის.

ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სურთ ბალკანურ ქვეყნებს: რუმინეთს, საბერძნეთს, ბულგარეთსა და სერბეთს. იდეის დონეზე ასევე განიხილება იტალიის, ინგლისის, პორტუგალიისა და ესპანეთის ერთობლივი და ასევე რუსეთის, დანიის, ფარერების, ფინეთის, ნორვეგიის, შვედეთის, ისლანდიის განაცხადებიც.

ზედიზედ 5 წარუმატებელი მცდელობის შემდეგ განაცხადის შეტანას თურქეთი დამოუკიდებლად ისევ აპირებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ლეო მესი: „ოქროს ბურთის მოსაპოვებლად ოთხი ფეხბურთელი იბრძოლებს“

როგორც უკვე იცით, 2021 წლის „ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონია პარიზში 5 დეკემბერს გაიმართება. პარი სენ-ჟერმენის ფორვარდმა, „ოქროს ბურთის“ 6-გზის მფლობელმა ლიონელ მესიმ დაასახელა 4 ფეხბურთელი, რომლებიც, მისი აზრით, 2021 წელს „ოქროს ბურთის“ მოპოვებას ყველაზე მეტად იმსახურებენ.

ლეო მესი:

– ჩემს გუნდში 2 ისეთი ფეხბურთელია, რომლებსაც უყოყმანოდ მივცემდი ხმას: ნეიმარი და კილიან მბაპე. შემდეგ მოდის რობერტ ლევანდოვსკი, რომელსაც შესანიშნავი წელი ჰქონდა. და კიდევ ქარიმ ბენზემა.

მესიმ ფრანგულ გამოცემა „ფრანს ფუტბოლთან“ ვრცლად ისაუბრა და არგენტინელმა ვარსკვლავმა ბევრ საინტერესო თემაზე ილაპარაკა.

– ბარსელონამ თქვა, რომ მე აღარ დავრჩებოდი გუნდში და ამ მომენტიდან დავიწყე მომავალზე ფიქრი. ახალი კლუბი უნდა მეპოვა კარიერის გასაგრძელებლად. რამდენიმე გუნდისგან მივიღე წინადადება, მათ შორის იყო პარი სენ-ჟერმენი. მადლობა, რომ თავიდანვე მათგან თბილი დამოკიდებულება ვიგრძენი.

პარიზში დამანახეს, რომ მართლაც დაინტერესებული იყვნენ ჩემით, მზრუნველობა გამოიჩინეს. მადლობა მათ ამისთვის, რადგან დღეს ბედნიერი ვარ. სხვა წინადადებებიც იყო... მაგრამ ჩვენ საკმაოდ სწრაფად მივედით პსჟ-სთან შეთანხმებამდე.

ცხადია, მომხიბლა პროექტმა, მოთამაშეების ჯგუფმა, გუნდის დონემ. ამ ყველაფერმა გაამარტივა მოლაპარაკებები.

საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ იოლი იქნებოდა ადაპტაცია, რადგან გასახდელში მეგობრები დამხვდებოდნენ. არ შევმცდარვარ – ადაპტირება ძალიან იოლი გამოვიდა, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ბევრი მოთამაშე აქ ესპანურად ლაპარაკობს.

პარიზში ყველა ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს. კლუბი რამდენიმე წელია მუშაობს ამ მიზნის მისაღწევად და სულ უფრო ახლოს არის მასთან. მეც მინდა, კიდევ ერთხელ მოვიგო ჩემპიონთა ლიგა. ამას ჯერ კიდევ ბარსელონაში ყოფნისას ვამბობდი. ეს მნიშვნელოვანი და ძლიერი ტურნირია.

დიახ, ეს პსჟ-ის მთავარი მიზანია, მაგრამ აქ სხვა ძლიერი გუნდებიც თამაშობენ – ჩელსი, მანჩესტერული კლუბები, რეალი, ინტერი, ბაიერნი... ისინი დიდი გუნდები არიან.

ჩვენს გუნდში შესანიშნავი შემსრულებლები არიან შეკრებილნი, მაგრამ ჯერ ისევ გვჭირდება შეთამაშება, კავშირების დალაგება და გუნდის მშენებლობა. სერიოზული ტიტულების მოსაპოვებლად უნდა ვითამაშოთ, როგორც ერთიანმა გუნდმა. აი, ამიტომ, ჩემი აზრით, სხვა კლუბებს ერთი ნაბიჯით ჩამოვრჩებით: ისინი უკეთ არიან შეთამაშებულები.

რაც შეეხება „ოქროს ბურთს“, საკუთარი თავი ფავორიტად არ მიმაჩნია. არასოდეს მომწონს ამის შესახებ ლაპარაკი იქამდე, სანამ შედეგები არ გახდება ცნობილი. კარგი იქნებოდა კიდევ ერთხელ „ოქროს ბურთის“ მოგება, მაგრამ უკვე ისედაც საოცარი გრძნობაა, რომ ერთადერთი მოთამაშე ვარ, რომელსაც ეს ჯილდო 6-ჯერ აქვს მოგებული.

მეშვიდე „ოქროს ბურთის“ მოგება დაუჯერებელი მიღწევა იქნებოდა. ამ ზაფხულს მოვიგე ტიტული, რომელიც ასე ძალიან მაკლდა – კოპა ამერიკა. ჩემთვის ეს კულმინაციური მომენტი იყო. თუ კიდევ ერთ „ოქროს ბურთს“ ავიღებ, ძალიან ბედნიერი და მადლიერი ვიქნები, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ.

„ოქროს ბურთის“ მიღება კარგი გუნდური მუშაობის შედეგია. თუ გუნდი კარგად თამაშობს, ცალკეული ფეხბურთელებიც ბრწყინავენ. მთავარი ტიტულების მოგებაა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იზრდება „ოქროს ბურთის“ მოპოვების შანსი.

მბაპესთან პირველივე დღეებიდან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ამასთან, მბაპე შესანიშნავად ფლობს ესპანურს. ასეთ ფეხბურთელთან ურთიერთობის დალაგება ძალიან იოლია. მოედნის მიღმა კარგი დამოკიდებულების წყალობით ყველაფერი მარტივი ხდება, თუმცა ჯერ ნაადრევია დასკვნების გაკეთება. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად აეწყობა. დროთა განმავლობაში უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს. ეს ბუნებრივი პროცესია. დიდი ხანია, ვიცნობ ნეიმარს, ერთად ვატარებდით მნიშვნელოვან მატჩებს, ახლოს ვართ ერთმანეთთან. იგივეა მბაპესთან მიმართებითაც – ვარჯიშები და თამაშები დაგვეხმარება დაახლოებაში. რაც უფრო ხშირად ვართ ერთად გასახდელში, მით უკეთ გვესმის ერთმანეთის მინდორზე...

პირველ რიგში, განსხვავება ასაკშია. როცა მე და ნეიმარი ერთად თამაშს ვიწყებდით, ახალგაზრდები ვიყავით, ისეთები, როგორიც ახლა კილიანია. გარდა ამისა, მბაპე და სუარესი ძალიან განსხვავებული ფეხბურთელები არიან. ლუისი სუფთა „ცხრიანია“, ფორვარდი, რომელიც კარგია საჯარიმოში და გამოიყენება იმისთვის, რომ ბევრი გოლი გაიტანოს.

კილიანს უფრო მეტად მოსწონს ბურთით თამაში, ძალიან ძლიერი და საოცრად სწრაფი ფეხბურთელია, რომელსაც შეუძლია თქვენი „მოკვლა“, თუ ბევრ სივრცეს დაუტოვებთ. და მასაც ბევრი გოლი გააქვს. ორივენი შესანიშნავი ფეხბურთელები არიან, მაგრამ – განსხვავებული თვისებებით.

დიეგო სიმეონე: „ჩვენ მესი საერთოდ არ გვყავდა“

მადრიდის ატლეტიკოს მთავარი მწვრთნელი დიეგო სიმეონე ბარსელონიდან არგენტინელი ვარსკვლავის ლიონელ მესის წასვლაზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ კატალონიელებს მაინც ძალიან კარგი შემადგენლობა ჰყავთ.

დიეგო სიმეონე:

– იცით თუ არა, რა შემადგენლობა ჰყავს ბარსელონას? ჩამოვთვალოთ... სერჟი რობერტო ფლანგზე და დესტი მის შემცვლელად; დაცვის ცენტრში მსოფლიო ჩემპიონი უმტიტი, რომელსაც ახლა ცუდი პერიოდი უდგას, ასევე პიკე და არაუხო, ხოლო მარცხენა ფლანგზე ალაბა და ბალდე. პედრი... ნახეთ 17 წლის გავი, რომელმაც ესპანეთის ნაკრებში უკვე ითამაშა? ფრენკი დე იონგი, ბუსკეტსი, ანსუ ფატი, აგუერო, დემბელე, მემფის დეპაი, ლუკ დე იონგი, რომელიც ყველას გვჭირდება? კოუტინიო... არ მინდა, არ მომიყვეთ ეს ისტორია... თუ მეტყვით, რომ ბარსას მესი აღარ ჰყავს და გუნდმა ამით სეზონში 30 გოლი დაკარგა, გეტყვით, რომ კი, რა თქმა უნდა, ბარსას აღარ აქვს ის 30 გოლი, რომელიც ჩვენ არასდროს გვქონია. ჩვენ მესი არასდროს გვყოლია.

მამუკელაშვილს ენდოზიან, ბითაძეს — არა

ნბა-ს ახალი სეზონი მალე დაიწყება. მანამდე მორიგი შეხვედრები ქართველი კალათბურთელების გუნდებმაც გამართეს.

გოგა ბითაძის ინდიანამ შინ მემფისს აჯობა, სანდრო მამუკელაშვილის მილუოკი სტუმრად იუტასთან დამარცხდა, ხოლო დენვერმა, რომელმაც სულ ახლახან გიორგი ბეჟანიშვილს კონტრაქტი გაუფორმა, გასვლაზე ოკლაჰომასთან წააგო.

ამ მატჩებში ორმა ქართველმა კალათბურთელმა ითამაშა. მოლოდინის მიუხედავად, ნაგეთსის რიგებში 22 წლის ბეჟანიშვილის დებიუტი არ შედგა.

ყველაზე მეტი სათამაშო დრო კი 22 წლის სანდრო მამუკელაშვილს ჰქონდა. სანდრომ იუტასთან მოედანზე 17 წუთი გაატარა, 2 ქულა, 7 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. მამუკელაშვილს სროლა არ წაუვიდა, 3 სამქულიანიდან ვერც ერთი ვერ ჩააგდო, 5 ორქულიანიდან კი – მხოლოდ ერთი.

სანდრო მამუკელაშვილის გუნდი პრესეზონის ბოლო შეხვედრას შინ დალას მავერიქსთან გამართავს, ნბა-ს რეგულარულ სეზონს კი 20 ოქტომბერს ბრუკლინთან მატჩით გახსნის.

გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსმა შინ დაძაბულ ბრძოლაში მოუგო მემფისს. 20 წლის ქართველმა ცენტრმა 9 წუთი ითამაშა, თამაშიდან სულ სამჯერ ისროლა (ორჯერ პერიმეტრიდან), თუმცა ყველა – არაზუსტად.

პეისერსში ორმაგი დუბლით დომანტას საბონისი გამოირჩა, რომელიც თავის გუნდს 24 ქულითა და 13 მოხსნით დაეხმარა. მოედანზე ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი კი მემფისის მცველი სემ მერილი იყო, რომელმაც თამაში 30 ქულით დაასრულა.

ინდიანა პრესეზონის ბოლო მატჩს კლივლენდთან ჩაატარებს, ახალ სეზონს კი 21 ოქტომბერს გასვლაზე შარტლოტ ჰორნეტსთან შეხვედრით დაიწყებს.

ევროლიგაში თორნიკე შენგელიას ვერ აჩერებენ. მოსკოვის ცსკას ქართველი ფორვარდი ევროლიგის წინა, მე-2 ტურის მვპ გახდა და, დიდი ალბათობით, იმავე შედეგს გაიმეორებს.

ევროლიგის მე-3 ტურის მატჩში არმიელებმა თანამემამულე კლუბს, სანკტ-პეტერბურგის ზენიტს უმასპინძლეს და შენგელია 33 ქულით მატჩის ბომბარდირი და საუკეთესო მოთამაშე გახდა.

33 ქულა შენგელიასთვის ევროლიგის რეკორდია. მისი უმაღლესი შედეგი 31 ქულა გახლდათ, რომელიც მან 2 წლის წინ, ბასკონიაში თამაშისას ევროლიგაში მიითვალა, ზენიტთან 77:67 მოგებულ შეხვედრაში პირადი რეკორდი დაამყარა და, რომ იტყვიან, თავის გუნდს პირადად მოაგებინა. სასტარტო ხუთეულში მყოფმა ქართველმა ფორვარდმა 36 წუთი ითამაშა, რა დროშიც 33 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. თოკომ 16-დან 10 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი და 11-დან 7 საჯარიმო გამოიყენა. მისმა ქმედების კოეფიციენტმა 37 შეადგინა, რაც მატჩის საუკეთესო შედეგი გახლდათ.

უდიდესი ალბათობით, მის ამ შედეგს მე-3 ტურში ვეღარავინ გადაფარავს და შენგელია კვლავ მვპ გახდება, რაც უდიდესი მიღწევაა ნებისმიერი კალათბურთელისთვის. ცნობისთვის, თავის მრავალწლიან კარიერაში შენგელიას ევროლიგის ეს პრესტიჟული ტიტული 5-ჯერ აქვს მოგებული.

ზენიტის შემადგენლობაში ითამაშა საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა უკანახაზელმა კონერ ფრენკამპმა. მას მწვრთნელმა 8 წუთი არგუნა, რა დროშიც 2 ქულა მიითვალა.

3 ტურის შემდეგ ცსკას 2 მოგება აქვს, მომდევნო მატჩს კი სერბული ცრვენა ზვეზდას წინააღმდეგ შინ გამართავს.

ბოსნია-ჰერცეგოვინის საკალათბურთო კლუბმა ბოსნა-როიალმა, რომელშიც ახალგაზრდა ლუკა ბულაშვილი ჩაირიცხა, ახალი სეზონისთვის მზადების ციკლში მორიგი მატჩი მოიგო, ქართველი უკანახაზელი კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

23 წლის ბულაშვილის კლუბმა ბოსნია-ჰერცეგოვინის კიდევ ერთ წარმომადგენელ რადნიჩკის 113:56 სძლია. ქართველმა ლეგიონერმა 20 ქულა ჩააგდო და მხოლოდ ენის მემიჩს (27 ქულა) ჩამორჩა.

ბოსნა-როიალი ეროვნულ ჩემპიონატში 16 ოქტომბერს ჩაებმება. ქართველი კალათბურთელის კლუბს პირველი შეხვედრა სტუმრად პოსუსიესთან ელის, 23-ში კი შინ მლადოსტს უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ბულაშვილი ბოსნიურ კლუბში გასულ აგვისტოში ჩაირიცხა, მანამდე კი დინამო თბილისში თამაშობდა და 2020-21 წლების სეზონში საშუალოდ 21.4 ქულასა და 4.5 მოხსნას აგროვებდა. ლუკას რამდენიმე სეზონი ესპანეთის დაბალ ლიგებშიც აქვს გატარებული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 2. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 3. ვარსკვლავთა მკვლევარი; 4. მონასტერი ქსნის ხეობაში; 5. საქორწილო მარშის ავტორი გერმანელი კომპოზიტორი; 10. დაბალი ხარისხის შაქარი; 11. ნეპალის დედაქალაქი; 12. მდინარე ერევანში; 13. საქართველოს ეროვნული გმირი; 16. უმაღლესი კატეგორიის ადვოკატი ბრიტანეთში; 17. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 19. კუთხე საქართველოში; 21. ფულის ერთეული ჩინეთში; 23. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი.

თარაზულად: 6. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 7. ქართველი პრიმა-ბალერინა; 8. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 9. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 15. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 18. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 20. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 22. ქართველი მევიოლინე ქალი; 24. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 25. პირველი მაჯის საათის შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 26. ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯაკო; 2. ერი; 3. პერგამონი; 4. ქააბა; 5. სანახშო; 8. უშტი; 9. კატორღა; 10. კიმიგაიო; 12. ხანუკა; 13. ამანი; 15. სვანი.

თარაზულად: 1. ჯორჯაძე; 6. სერენადა; 7. კიური; 10. კეგლი; 11. სტეკა; 13. ატომი; 14. კასიო; 16. უშბა; 17. იორდანე; 18. ჩხეიძე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰერმესი; 2. ენდშპილი; 3. ვირსალაძე; 4. კარკასი; 5. მიზანთროპი; 10. მწნილი; 11. ბაჰრეინი; 12. კატრანი; 13. ბარამბო; 16. მადრიგალი; 17. კალევალა; 19. აგრონომი; 21. ჰონდა; 23. ნესვი.

თარაზულად: 6. მელანქოლია; 7. ბასკეთი; 8. გელაპი; 9. ნატამალი; 14. მაჩაბელი; 15. გუტიერეში; 18. პანტა; 20. თალმუდი; 22. ჰონვედი; 24. მონაკო; 25. ტაბლოიდი; 26. ფაველა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1383

ევრო — 3.6291

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2775

100 რუსული რუბლი — 4.3689

ამინდის პროგნოზი 15 ოქტომბრისათვის

აგუერომ მოედანზე დაბრუნებაზე ისაუბრა

ბარსელონის არგენტინელმა ახალწვეულმა სერხიო აგუერომ მოედანზე დაბრუნებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ მომენტს მოუთმენლად ელის, თუმცა ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია და მხოლოდ მწვრთნელმა იცის, როდის გამოვა ის მოედანზე:

– მინდა, ყველას დავუმტკიცო ჩემი შესაძლებლობები და ახალ გუნდში თამაში ყოველთვის განსაკუთრებულია, თუმცა ვაღიარებ, რომ მესისთან ერთად მინდოდა მეასპარაზა, მაგრამ უკვე ვერაფერს შევცვლი.

პოჩეტინომ ნეიმარი შეაქო

პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ თავის ერთ-ერთ ვარსკვლავ ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და პიროვნულადაც ძლიერი ადამიანია.

პოჩეტინოს აზრით, წლევანდელი სეზონი ნეიმარისთვის განსაკუთრებული იქნება:

– ნეიმარი ყოველთვის ახერხებს მოტივაციის მოძებნას და ძლიერი მენტალობა აქვს. მასთან მუშაობა სასიამოვნოა და წელს, იმედი მაქვს, ტიტულებს ერთად მოვიგებთ.

გვარდიოლამ, შესაძლოა, სიტი დატოვოს

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ, შესაძლოა, გუნდი დატოვოს, რადგან მას ჯერჯერობით ახალ კონტრაქტს არ სთავაზობენ. გარდა ამისა, სიტის ხელმძღვანელობა მისი მუშაობით ბოლომდე კმაყოფილი არ არის და ბევრი რამ წლევანდელ სეზონზე იქნება დამოკიდებული.

სიტის ახალი მწვრთნელის პოზიციაზე რამდენიმე კანდიდატურა ჰყავს, თუმცა მათი ვინაობა მედიამ ჯერჯერობით არ იცის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 ოქტომბრისათვის

ვერძი – ახლობლებთან ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნებაში ტრადიციების დაცვის უნარი დაგეხმარებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – საოჯახო საქმეებს ვერ აუდიხართ. სამომავლოდ ნურაფერს გადადებთ. ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ტყუპები** – მოუგვარებელი საყოფაცხოვრებო პრობლემები განერვიულებთ. ნუ დაწვრილმანდებით. ემოციები მოთოკეთ. **კირჩხიბი** – ფიზიკურადაც და მორალურადაც მშვენიერ ფორმაში ხართ. დღეს, შესაძლოა, თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს. **ლომი** – ოჯახის წევრებთან ურთიერთობას აგვარებთ. მთავარია, შინაგანი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **ქალწული** – ეცადეთ, შინაურებთან სკანდალი თავიდან აიცილოთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **სასწორი** – საიდუმლოს ნურავის გაანდობთ. ყველა დაწყებული საქმე დღესვე დაამთავრეთ. კარგი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ წასასვლელად. **ღრიანკალი** – მრავალი თქვენგანი საოცარ შორსმჭვრეტელობასა და მახვილგონიერებას გამოავლენთ, რაც თქვენს საქმიანობაზე დადებითად აისახება. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ახალ ნაცნობობას, რომანტიკულ შეხვედრებს. იმედი გაგიცრუვდებათ. **თხის რქა** – გადადებული საქმე ეშმაკისაა. ნუ იზარმაცებთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. **თევზები** – საორგანიზაციო საკითხების მოგვარება არ გაგიჭირდებათ. თანამოაზრეები გვერდში გიდგანან. სიზმარი, სავარაუდოდ, აგიხდებათ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი ქალი მეორესთან ტრაბახობს, თუ როგორ კარგად იცის რუსული მისმა შვილმა:

– აბა, შვილო, როგორაა ხლებ ქართულად?

– პური.

– მასლო?

– კარაქი.

– სახარ?

– სად ვარ და ბათუმში.

●●●

ცოლი ქმარს ეხვეწება:

– გთხოვ, ყურები გამიხვრიტე, რა...

– ქალო, რაც ჩემი გასახვრეტი იყო, სხვას გაახვრეტინე და ყურების გახვრეტას მე მთხოვ?!

●●●

სამსახურში მისულ თვალჩალურჯებულ გივის თანამშრომელი ეკითხება:

– რა დაგემართა?

– უძილობა მჭირს.

– მერე, ეგ თვალის ჩალურჯებასთან რა კავშირშია?

– რა და ჩვევად მაქვს, რომ ვერ ვიძინებ, ღამის სამ საათზე ტელეფონზე ვრეკავ ხოლმე და ყურმილის აღების შემდეგ ვეკითხები, აბა, თუ გამოიცნობ, ვინ ვარ-მეთქი.

– მერე?

– მერე, წუხელ ერთმა გამოიცნო...

●●●

ნარკოზიდან გამოსული პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, როგორ ჩაიარა ოპერაციამ?

– გილოცავთ, ახლა თქვენ აზრობრივადაც, სულიერადაც და ფიზიკურადაც ქალი ბრძანდებით...

– იი, მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე, მე ხომ ბრმა ნაწლავის ოპერაციას ვიკეთებდი...

●●●

საავადმყოფოში სასწრაფოთი მიყვანილ მამაკაცს ყბები ჩამტვრეული აქვს, ხელები – ამოვარდნილი, ფეხები – მოტეხილი. ექიმი ეკითხება:

– თქვენ ალბათ ავარიაში მოყევით, ხომ?

– არა, ცხვირი დამაცემინა... კარადაში...

●●●

მამა შვილს დილით ადრე აღვიძებს და ეუბნება:

– ადე, ბიჭო, ვენახში წავიდეთ...

– კარგი, რა, მამი, რა დროს ვენახია ამ დილაადრიან...

– წამო, ბიჭო, ქვები უნდა გამოვზიდოთ ვენახიდან.

– მამი, არ იცი, რომ ვენახს ქვები უხდება?

– ადე, წავიდეთ და შევზიდოთ, შენი დედაც...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გუჯა ბურდული თბილისის საპატიო მოქალაქეა



მსახიობ გუჯა ბურდულს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს.

ეს სასიხარულო ინფორმაცია მისმა შვილმა, რეჟისორმა მაკა ბურდულმა გაავრცელა:

– გილოცავთ, გუჯას საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. ასრულდა სამართალი, კინემატოგრაფისტთა კავშირმა მკითხა: არც დამსახურებული არტისტის წოდება, არც სახალხოსი, როგორ თვლით, მისცემენ საპატიო მოქალაქეობასო? შენ დაწერე წერილი და ხალხი გადაწყვეტს-მეთქი.

ლიეტუვის ზარაფხანამ „ვეფხისტყაოსნის“ შთაგონებით საკოლექციო მონეტების შექმნა დაიწყო

ახალი ზელანდიის ერთ დოლარიან მონეტაზე "თინათინის გამეფების" სცენა გამოსახეს.

ლიეტუვის ზარაფხანამ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შთაგონებით საკოლექციო მონეტების სერიების შექმნა დაიწყო.

პირველი მონეტა უკვე მზადაა. მისი სახელწოდებაა „თინათინის კორონაცია“. მონეტაზე შოთას პოემიდან თინათინის გამეფების სცენაა დატანილი. 1.000 ეგზემპლარად გამოშვებული საკოლექციო მონეტა ვერცხლისაა და 31.1 გრამს იწონის.

მხატვარ მამუკა მიქელაძის ილუსტრაციაზე ახალგაზრდა ქართველმა დიზაინერმა ივა ჯანეზაშვილმა იმუშავა. მან ლიეტუვის ზარაფხანის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა.

ნოდიკო ტატიშვილმა ახალი კლიპი გადაიღო

პანდემიის მიუხედავად, მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი თავისი ერთგული მსმენელისთვის ბევრს მუშაობს – ახალ სიმღერებს წერს, ახალ ვიდეორგოლებს იღებს.

„ბალადა სიყვარულზე“ – ასე ჰქვია კომპოზიტორ ლილიკო ნემსაძის სიმღერას, რომელიც ირინა სანიკიძის ლექსზეა შექმნილი.

ნოდიკო ტატიშვილმა სიმღერაზე გადაღებული ვიდეორგოლი ინტერნეტში გაავრცელა. როგორც მოსალოდნელი იყო, კლიპს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მომღერლის ნამუშევარმა უამრავი მოწონება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ცოლ-ქმარს ხუთ წელიწადში სამი ტყუპი შეეძინა

აშშ-ში ცოლ-ქმარი სამი წყვილი ტყუპის მშობლები გახდნენ ხუთი წლის განმავლობაში.

32 წლის ჯოლინ მაკის და 33 წლის ენდრიუ მაკის ნიუ-იორკში მცხოვრები ოჯახი ექვსიდან

რვა სულამდე გაიზარდა მას შემდეგ, რაც მათ მიმდინარე წლის აგვისტოში მესამე წყვილი ტყუპი შეეძინა. ახლა უკვე მშობლების გარდა ოჯახის წევრები არიან ხუთი წლის პეიტონი და პეიჯი, სამი წლის ებიგეილი და ენდრიუ და სამი თვის ეიდენი და ჯეიდენი.

– ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მრავალშვილიანი დედა გავხდებოდი. ვფიქრობდი, რომ ერთი ან ორი ბავშვი მეყოლებოდა, – აღიარა ქალმა.

მან დაამატა, რომ როდესაც გაიგო, რომ მესამე წყვილ ტყუპზე იყო ფეხმძიმედ, მიხვდა, რომ ეს მისი ბედისწერა იყო.

– ვფიქრობდი, რომ მესამედ ერთ ბავშვს გავაჩენდი, მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ ისევ ორი ბავშვი მეყოლებოდა, ექიმი ჩემზე არანაკლებ გაოგნებული აღმოჩნდა. მან მითხრა, რომ თავისი 25 წლის პრაქტიკაში მსგავსი არაფერი უნახავს, – განაცხადა ჯოლინ მაკიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ძლიერი ფიზიკური დაზიანებით გამოწვეული ფსიქიკური შერყევა, ფუნქციების მძიმე მოშლილობა; 2. ქვის ბოძებზე დადგმული ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 4. მეფის მეჯვარე ქორწილში; 5. მარნეულის ძველი სახელწოდება; 8. მკბენარა მწერი; 9. სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე ცეკვაში; 10. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 12. სრული მარცხი, კრახი; 13. თავად-აზნაურთა მემკვიდრეობითი წოდება ევროპაში; 15. კუთხე საქართველოში.

თარაზულად: 1. ქართული ხალხური საგმირო, პატრიოტული სიმღერა; 6. სმენის განსაკუთრებული ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 7. უბანი თბილისში; 10. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 11. ეკლესია-მონასტრებისთვის შემოწირულთა სარეგისტრაციო დავთარი ძველად; 13. ნიდერლანდური ყველი; 14. რომან „ელგუჯას“ პერსონაჟი; 16. ორნახშირმჟავა-ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 17. ქართული ძილისპირული; 18. იტალიელი მოდელიერი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა